# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№149 (9980) 2025 წლის 7 ნოემბერი, პარასკევი


## დღის მთავარი საწუხარი!

# დაპირისპირების უმწვავესი ფაზა!



**ევროკომისიის გოლოდროინდელი გაფართოების ანგარიში, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას აფასებს, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ამხელს ევროპული ბიუროკრატიის ფუნდამენტურ პრობლემას – ორმაგი სტანდარტის გამოყენებას,** – ასე შეაფასა სიტუაცია პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ**.

მისი განცხადებები მკაფიოდ მიუთითებს, რომ **თბილისი და ბრიუსელი ახალ, დაძაბულ ფორმატში კი არ გადავიდნენ, არამედ ამ დაპირისპირების მწვავე ფაზაა მიღწეული, რომელიც დიდი ხანია არსებულ უსამართლობაზე მყარდება. პრემიერის მტკიცებით, ევროპული ინსტიტუტები მიზანმიმართულად უგულებელყოფენ ხელისუფლების მიმართ კრიტიკას, როდესაც საქმე ყოფილ მმართველ ძალას, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეხება. „ეს არ არის პირველი მცდელობა, როდესაც „ნაციონალები“ ძალადობენ, ამას არასოდეს ემიჯნება არც ევროკავშირის ელჩი, არც მთლიანად ევროპული ბიუროკრატია... ეს არის ორმაგი სტანდარტი, კლასიკური ორმაგი სტანდარტი... რაც აღარ გვიკვირს არავის. ამ დონემდეა, დღეს, სამწუხაროდ, დასული ევროპული ბიუროკრატია“!!!**

# უტიფრობის ახალი მწვერვალი

**ევროპიუროკრატიას, ოლიგარქიული ოჯახების, იგივე „დიფ სთეითისგან“ მიღებული აქვს დავალება – ყველაფრის ფასად მოახერხონ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება და მმართველობაში აგენტების დაბრუნება – ეს არის, რაც ევროკავშირის პოლიტიკას განაპირობებს საქართველოს მიმართ და იქამდე არ შეიცვლება, სანამ მიზანი არ იქნება მიღწეული. დიდი ხანია აღარ არსებობს შეფასების ობიექტური კრიტერიუმები, არამედ ჩვენ წინაშეა კონკრეტული ულტიმატუმი: საქართველომ დათმოს სუვერენიტეტი და იქცეს ვასალად; გაუქმდეს ლგბტ პროპაგანდის შემზღუდავი და გამჭვირვალობის კანონები; საქართველო ჩაერთოს ბრიუსელის საომარ პოლიტიკაში.**

ჩვენთვის მიუღებელია „ქართული ოცნების“ პოლიტიკა, რაც უსამართლობის და ევროკავშირის შეუქცევადი დეგრადაციის მიუხედავად, ამ გაერთიანებისკენ ცალმხრივად სვლის გაგრძელებას გულისხმობს. მივმართავთ ხელისუფლებას, დაასახელოს ის ნიშნული, რის შემდეგაც გადახედავს საგარეო პრიორიტეტებს და საბოლოოდ უარს იტყვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ღირებულებით სტაგნაციაში მყოფ, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მტრულად განწყობილ კავშირში გაწევრებაზე.

## მეთორმეტე დღეა, მოშიმშილე გედევან ფოფხაძეს ყურადღებას არავინ აქცევს!


იხ. 4 გვ.

## პროკურატურა ბრალს სდებს!

**მიხეილ სააკაშვილის, გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, ზურაბ ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ**


იხ. 2 გვ.

გიორგი გვარაკიძე

## სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

### იუნის შარიფლი:

## ჩინეთის კვალმა შეიძლება ჩაძიროს საქართველოს ურთიერთობების განახლება აშშ-სთან

4





## ყარაბაღში ისტორიული გამარჯვების მეხუთე წლისთავი

5



10

## კოხტა კოლხი

**გარდაიცვალა შეუდარებელი პატრიოტი ბონდო ჯიქია**

საქართველოს რესპუბლიკა

სირცხვილია!

№149. პარასკევი, 7 ნოემბერი, 2025 წელი

# ერის მოღალატეთა კასტა

















## მიხეილ სააკაშვილის, გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, ზურაბ ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის

# მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნა დაიწყო

**საქართველოს პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გენერალურმა პროკურორმა გიორგი გვარამიძემ გუშინ განაცხადა:**

> **„პროკურატურის, სუს-ის, შს სამინისტროს ერთობლივად ჩატარებული გამოძიებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების – საბოტაჟის, უცხო ქვეყნისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდების ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მიხეილ სააკაშვილის, გიორგი ვაშაძის, ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, ზურაბ ჯაფარიძის, ელენე ხოშტარიას, მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიმართ“.**

გენერალური პროკურორის განმარტებით, პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სახით მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ – გირაოს, ხოლო სხვა ბრალდებულების მიმართ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის მოთხოვნით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

„უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, რუსეთის ფედერაციასთან შესაძლო სამხედრო კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, აირჩია პოლიტიკა, აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ არ დაეწესებინა ეკონომიკური სანქციები და ქვეყანაში შეენარჩუნებინა მშვიდობა. აღნიშნულის გამო საქართველოში მოქმედი ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერები – ელენე ხოშტარია, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ, საერთაშორისო სანქციების დასაწესებლად ხელოვნური საფუძვლის შექმნის მიზნით, უცხო ქვეყნის სახელმწიფოს წარმომადგენლებს აწვდიდნენ ინფორმაციას საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტის, ასევე საქართველოს სამხედრო სფეროში მათ ხელთ არსებული თუ გამოგონილი ვითარების შესახებ, ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, თითქოს **საქართველოს საჰაერო სივრცე გამოიყენებოდა ირანული საბრძოლო დრონების რუსეთის ფედერაციისათვის მისაწოდებლად**.

გარდა აღნიშნულისა, ელენე ხოშტარია, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე ინფორმაციას და დოკუმენტურ მასალას, მათ შორის, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა სიებს, პერიოდულად სანქციების დასაწესებლად აწვდიდნენ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს. შედეგად, სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან სანქციები დაუწესდა, მთლიანობაში, საქართველოს 300-მდე მოქალაქეს, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საჯარო მოხელეებს და ცალკეულ ბიზნესმენებს.

2024 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური პარტიების დამარცხების შემდგომ, თითქოსდა არჩევნების გაყალბების საბაბით, ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ, გიორგი ვაშაძემ, ელენე ხოშტარიამ, ნიკა გვარამიამ, ნიკანორ მელიამ, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ დაიწყეს აქტიური მოქმედება ქუჩაში პროცესის რადიკალიზაციისთვის. დასახელებული პირები საჯაროდ აკეთებდნენ მოწოდებებს რევოლუციის, ხელისუფლების დამხობის, ხელისუფლების ჩამოშლის, სახელმწიფო შენობების პიკეტირების და სამართალდამცავთა წინააღმდეგ ფიზიკური დაპირისპირებისკენ. გარდა აღნიშნულისა, კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით, აგრესიულად განწყობილი მოქალაქეების მასის მობილიზების, თავშეყრის და ძალადობრივ მოქმედებებში ჩართვის მიზნით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირადი სოციალური გვერდის გამოყენებით, ასევე ვიდეომიმართვებში, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ვრცელდებოდა, მხარდამჭერებს საქვეყნოდ მოუწოდებდა კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ქმედებებისკენ, რომ საჭირო იყო ბრძოლა და აგრესიული წინააღმდეგობა. განცხადებებში ასევე მოუწოდებდა მხარდამჭერებს სამთავრობო შენობების დაკავებისა და „რეჟიმის ჩამოშლისკენ“. პარლამენტის შენობის მიმდებარედ დაწყებული აქციები მოკლე დროში გასცდა კანონით დადგენილ ფარგლებს. არაერთგზის ჰქონდა ადგილი საპოლიციო ძალასთან მიზანმიმართულად და ორგანიზებულად დაპირისპირებას, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილების, ადვილად აალებადი და ცეცხლგამჩენი ნივთიერებების სროლას სამართალდამცველთა მიმართ. მოძალადეთა მოქმედებები კოორდინირებული იყო ზემოხსენებულ პოლიტიკოსებთან. ამავდროულად, ძალადობრივი ჯგუფები მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებულად და ერთმანეთთან კომუნიკაციას სისტემატურად ინარჩუნებდნენ ე.წ. რაციების საშუალებით, რაც, სხვა ნივთებთან ერთად, ამოღებული იქნა ოპოზიციური პარტიების ოფისებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „დროას“ და „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ოფისებიდან.

2024 წლის 28 ნოემბერს, ლიდერების მოწოდებით, პარლამენტის შენობის მიმდებარედ პოლიციის თანამშრომლებთან დაწყებული ძალადობრივი დაპირისპირება გაგრძელდა ექვსი დღის მანძილზე. შედეგად, ძალადობრივმა ჯგუფებმა ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს სამართალდამცავი უწყების 158 თანამშრომელს, მათ შორის რამდენიმე მათგანს მიყენებული ჰქონდა მძიმე დაზიანებები, ცეცხლი წაუკიდეს პარლამენტის შენობაში არსებულ ოთახებს, რითიც მნიშვნელოვნად დაზიანდა შენობა, ასევე ცეცხლი წაუკიდეს პოლიციის კუთვნილ სპეციალურ ტექნიკას, გაანადგურეს რუსთაველის გამზირზე სახელმწიფოს და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება. აღნიშნულის პარალელურად, კოორდინირებულად ხდებოდა ფინანსური სახსრების და მატერიალური რესურსების შეგროვება და მიწოდება ძალადობრივი ჯგუფებისთვის, რაშიც, პოლიტიკოსებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ე.წ. ფონდები, რომლებიც, თავის მხრივ, დაფინანსებას იღებდნენ საერთაშორისო დონორებისგან.

ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, **მიხეილ სააკაშვილს** ბრალდება წარედგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით – საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების ფაქტზე; **ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს** და **გიორგი ვაშაძეს** ბრალდება წარედგინებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით და 319-ე მუხლით – საბოტაჟის და უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე; **ელენე ხოშტარიას** ბრალდება წარედგინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით, 319-ე მუხლით და 321-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით – საბოტაჟის, აღნიშნული დანაშაულისთვის მატერიალური რესურსების მიწოდების და უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე; **ნიკა გვარამიას, ნიკანორ მელიას, მამუკა ხაზარაძეს** და **ბადრი ჯაფარიძეს** ბრალდება წარედგინებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით – საბოტაჟის ფაქტზე. პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სახით მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ – გირაოს, ხოლო სხვა ბრალდებულების მიმართ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის მოთხოვნით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

**საქმეზე გამოძიება გრძელდება და მისი მიმდინარეობის და შედეგების თაობაზე საზოგადოებას პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას“...**

**6 ნოემბერი, 2025 წ.**

# ჩინეთი საქართველოს მადლიერია გულწრფელი მეგობრობისთვის!



## საქართველო-ჩინეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება

**სტრატეგიული პარტნიორობა და ორმხრივი ურთიერთობების განვითარება – საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერს ლი ციანს შეხვდა. ირაკლი კობახიძემ ისაუბრა ნაყოფიერ თანამშრომლობაზე სავაჭრო-ეკონომიკურ, ტურიზმისა და ტექნოლოგიების სფეროებში. შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ ფარგლებში თანამშრომლობასა და შუა დერეფნის განვითარების მნიშვნელობაზე.**

**„საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები სტაბილურად ვითარდება – ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით. ჩვენ გულწრფელად ვაფასებთ ჩინეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ასევე ურყევ ერთგულებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების კუთხით. საქართველო მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის პრინციპს“ და ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობას.**

**ეს მეგობრობა და ურთიერთგაგება ბუნებრივად აისახა ჩვენს ქვეყნებს შორის დინამიკურ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. ჩინეთი საქართველოს უდიდესი სავაჭრო პარტნიორების ოთხეულშია. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ორმხრივი ვაჭრობის ზრდას. საქართველოს ექსპორტი ჩინეთის მიმართულებით საგრძნობლად გაიზარდა“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

მთავრობის მეთაურის თქმით, ასევე სასიხარულოა ტვირთბრუნვის მზარდი ტენდენცია – 2025 წლის იანვარ-აგვისტოში, ჩინეთიდან და ჩინეთში, შუა დერეფნით, საქართველოს გავლით გადაზიდული კონტეინერების რაოდენობა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 70.6%-ით გაიზარდა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველო მზად არის, გააღრმაოს თანამშრომლობა საქართველოს გავლით ჩინეთსა და ევროპას შორის სატრანსპორტო ნაკადების კიდევ უფრო ზრდის მიზნით.

პრემიერის განცხადებით, ამ მიღწევებზე დაყრდნობით, ინვესტიციების სფერო რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს. 2025 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, ჩინეთიდან საქართველოში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 7.43 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 229%-ით მეტია წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

**„ჩვენ გვჯერა, რომ ეს პოზიტიური დინამიკა გაგრძელდება და კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენს ეკონომიკურ პარტნიორობას. ჩინეთი ისტორიულად წარმოადგენს აბრეშუმის გზის ცენტრალურ საყრდენს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა ვაჭრობასა და კულტურულ ურთიერთობას. საქართველო, როგორც შუა დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილი, მზად არის, გააფართოოს თანამშრომლობა ჩინეთთან რეგიონული დაკავშირებადობისა და ვაჭრობის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის პოზიტიური დინამიკა და მაღალი დონის ურთიერთობები გაგრძელდება და კიდევ უფრო განმტკიცდება, რაც კავშირების გაღრმავებისა და ჩვენი ხალხების გრძელვადიანი კეთილდღეობისადმი ჩვენს საერთო ერთგულებას ადასტურებს“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ქართველ კოლეგასთან შეხვედრაზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო იმპორტის გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობას და სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვა.

**„მადლობას გიხდით საერთაშორისო იმპორტის გამოფენაში მონაწილეობისათვის. საქართველო გამოფენაში საპატიო სტუმრის სტატუსით წელს პირველად მონაწილეობს და ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ქართული პროდუქციის წარმოსაჩენად. დარწმუნებული ვარ, ქართული კომპანიები გამოფენაში მონაწილეობის შედეგებს მალე იხილავენ. ბოლო წლებში, საქართველოსა და ჩინეთის ლიდერების სტრატეგიული ხელმძღვანელობის შედეგად, ორმხრივი ურთიერთობები ინტენსიურად ვითარდება.**

**2023 წელს, ჩვენმა ქვეყნებმა დაამყარეს სტრატეგიული პარტნიორობა და მას შემდეგ სხვადასხვა სფეროში ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობა სულ უფრო ღრმავდება. ჩინეთი საქართველოს მადლიერია გულწრფელი მეგობრობისთვის. ჩვენი სურვილია, გავაძლიეროთ სტრატეგიული კომუნიკაცია საქართველოსთან, გავაფართოოთ პრაქტიკული თანამშრომლობა და ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო მეტი სარგებელი მოვუტანოთ ჩვენს ხალხებს“,** – აღნიშნა **ლი ციანმა.**

პრემიერ-მინისტრების შეხვედრის შემდეგ, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა. დოკუმენტებს, კოლეგებთან ერთად, ხელი მოაწერეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა მარიამ ქვრივიშვილმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პაატა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაკა ბოჭორიშვილის განცხადებით, საქართველოსა და ჩინეთის პრემიერებს შორის შეხვედრაზე მთავარი აქცენტები გაკეთდა სხვადასხვა მიმართულებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაძლიერებაზე. როგორც მაკა ბოჭორიშვილმა აღნიშნა, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სავაჭრო მიმართულებით საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების პოტენციალის უკეთ გამოყენებაზე.

**„ჩვენ, შეხვედრის ფარგლებში, ხელი მოვაწერეთ რამდენიმე შეთანხმებას, რომელიც მიმართული იქნება ქართული პროდუქციის ჩინურ ბაზარზე უკეთ წარმოდგენისთვის, რაც კიდევ უფრო გაზრდის სავაჭრო ურთიერთობებს ჩინეთთან. ასევე საუბარი შეეხო სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობას, განსაკუთრებით ტექნოლოგიების სფეროში, რაც მნიშვნელოვანია სწორედ იმ წარმატებებიდან გამომდინარე, რაც ჩინეთს აქვს ამ მიმართულებით“,** – განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

ანალიტიკოსი **დავით ჩიხელიძე** მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია თბილისსა და პეკინს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცების გზაზე. მისი თქმით, შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ლი ციანთან ადასტურებს, რომ საქართველო ჩინეთისთვის სანდო და გრძელვადიანი პარტნიორია შავი ზღვის რეგიონში, ხოლო საქართველოსთვის ჩინეთი ეკონომიკური და სატრანსპორტო განვითარების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ბურჯი.

**„სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმებიდან მოკლე პერიოდში, საქართველო და ჩინეთი ურთიერთობას უკვე ახალ, პრაქტიკულ ეტაპზე აჰყავთ. ყურადღება გამახვილებულია ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა ინფრასტრუქტურული განვითარება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საინვესტიციო თანამშრომლობა და განათლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება საქართველოს როლი, როგორც შუა დერეფნის (TRANS-CASPIAN INTERNATIONAL TRANSPORT ROUTE-ის) ერთ-ერთ მთავარ ნაწილად, რომელიც აზიას ევროპასთან აკავშირებს.**

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ჩინეთი ისტორიულად წარმოადგენს აბრეშუმის გზის ცენტრალურ საყრდენს, ხოლო საქართველო მზად არის, მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული და ლოჯისტიკური უპირატესობა რეგიონული დაკავშირებადობის გასაძლიერებლად. ეს თანამშრომლობა ემსახურება არა მხოლოდ ორ ქვეყანას, არამედ ფართო რეგიონულ სტაბილურობასა და ეკონომიკურ ინტეგრაციასაც“,** – აცხადებს **ჩიხელიძე.**

მისივე თქმით, საქართველოსა და ჩინეთს შორის მზარდი თანამშრომლობა აჩვენებს, რომ თბილისი ახერხებს მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკის გატარებას პარტნიორობის გაღრმავებას, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ მიმართულებებში. ეს არის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ეროვნული ინტერესების დაცვასა და გლობალური ეკონომიკური შესაძლებლობების რაციონალურ გამოყენებას.

**„საქართველოსა და ჩინეთის პარტნიორობა აერთიანებს სტრატეგიულ ხედვასა და რეალისტურ ინტერესებს, ორი ქვეყნის ურთიერთობა უკვე გასცდა ფორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს და გადაიქცა ეკონომიკური და გეოპოლიტიკური თანამშრომლობის ძლიერ პლატფორმად, რომელიც მომავალში საქართველოს განვითარებისა და რეგიონში მისი პოზიციის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს“,** – აღნიშნა **დავით ჩიხელიძემ.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ თვალსაჩინო დამთხვევაა, როდესაც 4 ნოემბერს, რეალობის უტიფრად დაუნახავმა ბრიუსელმა დაუმსახურებლად დაგვტუქსა, ხოლო შანხაიში, საქართველოსა და ჩინეთის პრემიერები რეალური სტრატეგიული პარტნიორობის გაფართოებაზე მსჯელობდნენ.

**„სუვერენიტეტის შეუვალად დაცვის პრინციპით, საქართველო გააგრძელებს მშვიდობიანი განვითარებისა და მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას; თვითდაზიანებულ „პარტნიორებს“ კი საკუთარი უსაქციელო დემარშების რევიზია მოუწევთ. რასაკვირველია, ევრობიუროკრატიაში საღად მოაზროვნე სტრატეგები და ანალიტიკოსები მრავლად არიან, მაგრამ მათი შეფები თუ მავნებელი „დიფ სთეითის“ ერთგული მარიონეტები არიან, ობიექტური შეფასებები და პროგნოზები იკარგება ოფისებში“,** – წერს **გია აბაშიძე**

**თამთა ქარჩავა**

# იუნის შარიფლი: ჩინეთის კვალმა შეიძლება ჩაძიროს საქართველოს ურთიერთობების განახლება აშშ-სთან

**მთავარ ძალებს შორის გეოპოლიტიკური დაძაბულობა სამხრეთ კავკასიის ხელახალ ფორმირებას იწვევს. ამ ფონზე, საქართველო მნიშვნელოვან გზაჯვარედინზეა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის გადადება, ჩინეთის მზარდი საინვესტიციო კვალი და ურთიერთობების დალაგების მცდელობები, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან, ქმნის ურთულეს ბალანსის პროცესს თბილისისთვის. ამ ტენდენციების მიზეზებისა და შედეგების უკეთ გასაგებად, New.Az ესაუბრა კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული კვლევების ცენტრის ექსპერტს იუნის შარიფლის.**



**– გთხოვთ განგვიმარტოთ, რატომ გადაიდო ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები?**

– გადადების მთავარი მიზეზი არის ფინანსური და პოლიტიკური რისკების სირთულე, რომლებიც ჩადებულია ჩინეთის ხელმძღვანელობით მოქმედ კონსორციუმთან შეთანხმებაში. კონსორციუმის ფინანსური მოდელი ითვალისწინებს სუვერენულ გარანტიებს, რაც შესაძლოა, საქართველოს ეროვნული აქტივების, როგორიცაა მიწა ან რეზერვები, გირაოს გულისხმობდეს იმ შემთხვევაში, თუ **პროექტი საკმარის შემოსავალს** ვერ მიიღებს.

ასეთი პირობები ხშირია ჩინურ ინფრასტრუქტურულ დაფინანსებაში, მაგრამ ის შეიცავს „საკრედიტო ხაფანგის“ რისკს, რომლის თავიდან აცილებასაც ქართული მხარე ცდილობს ხელმოწერამდე. ამასთან, ანაკლიის გეოპოლიტიკური მდებარეობა დამატებით სირთულეს ქმნის, ის მხოლოდ 30 კილომეტრით არის დაშორებული რუსეთის ახალი საზღვაო ბაზას ოკუპირებულ აფხაზეთში. ეს ნიშნავს, რომ პორტი მდებარეობს ჩინურ ეკონომიკურ პროექტსა და რუსულ სამხედრო ფორპოსტს შორის. საქართველო ცდილობს წინ წაიწიოს, საკუთარი რესურსებით მშენებლობის საწყისი ეტაპის დაფინანსებით, თუმცა მოლაპარაკებები ნელა მიმდინარეობს, რადგან ხელისუფლებას სჭირდება ინვესტიციების მოზიდვასა და სუვერენიტეტის დაცვას შორის ბალანსის დაცვა.



**– საქართველოს ხელისუფლება ცდილობს დაამყაროს კონტაქტი აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან, რათა განაახლოს ქართულ-ამერიკული ურთიერთობები. თქვენი აზრით, თამაშობს თუ არა ჩინეთის ფაქტორი ამ პროცესში რაიმე როლს?**

– აბსოლუტურად. ეს დილემის არსია. ერთი მხრივ, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ ცდილობს შეერთებულ შტატებთან პოლიტიკური „რესტარტის“ განხორციელებას, განსაკუთრებით ტრამპის მეორე ვადის შემთხვევაში. მეორე მხრივ კი, ქვეყანამ თავისი ყველაზე სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტი ჩინეთის ისეთ კომპანიას გადასცა, რომელიც აშშ-ის მიერ შავ სიაშია შეტანილი. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ვაშინგტონის სტრატეგიას, რომლის მიზანია ჩინეთის გავლენის შეზღუდვა კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე.

პრობლემა სტრუქტურულია. თუ მომავალში აშშ-ის ადმინისტრაცია ჩინეთის გავლენას კვლავ გლობალურ საფრთხედ აღიქვამს, ის ვერ დაუჭერს მხარს შავ ზღვაზე ჩინეთის კონტროლქვეშ მყოფ პორტს. შესაბამისად, საქართველოში ჩინეთის ეკონომიკურმა ყოფნამ შესაძლოა ჩაშალოს ნებისმიერი პოლიტიკური დაახლოება ვაშინგტონთან, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება თეთრ სახლში.



**– პენტაგონის ხელმძღვანელის ეროვნული და გლობალური უსაფრთხოების ასისტენტმა, ერიკ როზენბაკმა და ჰარვარდის კენედის სკოლის ბელფერის ცენტრის მკვლევარმა, კრისტოფერ ლიმ The New York Times-ში განაცხადეს, რომ პეკინი და ვაშინგტონი ერთი ნაბიჯის მანძილზე არიან სამხედრო კონფლიქტისგან. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ასეთი სცენარი?**

– მათი გაფრთხილება სერიოზულ შეშფოთებას ასახავს. ტაივანის ირგვლივ, სამხედრო რისკი იზრდება, განსაკუთრებით, აშშ-ისა და ჩინეთის ძალებს შორის მომხდარი შეტაკებებისა და ახლო კონტაქტების გამო.

ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმია ახლა თითქმის ყოველდღიურად ატარებს სწავლებებს, რომლებიც ფაქტობრივად სრულმასშტაბიანი ბლოკადის რეპეტიციაა. აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობამ, მათ შორის, ადმირალმა სემუელ პაპარომ აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა კვლავ ინარჩუნებს უპირატესობას, ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაცია სწრაფად ავიწროებს ამ სხვაობას.

ამასთან, ფართომასშტაბიანი შეჯრა ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. ექსპერტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ უფრო რეალურია შეზღუდული ესკალაცია, ბლოკადა, საჰაერო სივრცის დარღვევა ან შემთხვევითი ინციდენტი, რომელიც კონტროლიდან გამოვა. იმის გამო, რომ ამერიკის ვალდებულება ტაივანის მიმართ „კაჟივით მტკიცეა“ მხოლოდ რიტორიკულად, მაგრამ პრაქტიკაში განზრახ ბუნდოვანია, მცირე ინციდენტმაც კი შეიძლება ვაშინგტონი აიძულოს, მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილება პირდაპირ ჩარევაზე.

ამიტომ, რეალური საფრთხე არა დაგეგმილი ომი, არამედ არასწორი გათვლა ან პროვოკაციული ნაბიჯია, რომელიც ორივე მხარეს კონფლიქტში იმაზე სწრაფად ჩაითრევს, ვიდრე სურდათ.

**News.Az-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ**

# მეთორმეტე დღეა, მოშიმშილე გედევან ფოფხაძეს ყურადღებას არავინ აქცევს!

**პარლამენტის წინ, მეთორმეტე დღეა, გრძელდება „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერის, გედევან ფოფხაძისა და რამდენიმე აქტივისტის უვადო შიმშილობის აქცია. მათი ძირითადი მოთხოვნებია ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება. ეს პროტესტის უკიდურესი ფორმა, რომელიც ფოფხაძემ 28 ოქტომბერს დაიწყო, კიდევ ერთხელ აჩენს კითხვებს შიმშილობის, როგორც პოლიტიკური ბერკეტის ეფექტიანობასა და პერსპექტივაზე თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში.**

## „შიმშილობა პოლიტიკური ბერკეტია, რომელმაც შედეგი ვერასდროს გამოიღო“

შიმშილობა ტრადიციულად გამოიყენებოდა, როგორც უკანასკნელი და ყველაზე რადიკალური საშუალება პოლიტიკური მოთხოვნების გასაპროტესტებლად, როდესაც სხვა ბერკეტები ამოწურული ან არაეფექტურია. გედევან ფოფხაძის განცხადებით, მისი შიმშილობის მიზანია:

**„ამ აქციას მხოლოდ პოლიტიკური მიზანი აქვს, რომ ეს პოლიტიკური დღის წესრიგი, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრები არ უნდა იყვნენ და ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, იქცეს მთავარ პოლიტიკურ ამოცანად და ამ მიზნების აქტუალიზაცია მოხდეს... თავისი ნებით, ისინი ამას არ დათმობენ, უნდა გაჩნდეს საპროტესტო დინება, რომელიც იბრძოლებს, დაანგრევს და ძირს გამოუთხრის მათ, რომელიც შემდგომ გაერთიანდება და წალეკავს კორუმპირებულ და არალეგიტიმურ რეჟიმს“.**

ფოფხაძე აღიარებს, რომ მარტო შიმშილობის აქცია სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს და საჭიროა ფართო საპროტესტო დინება.




მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ფოფხაძისთვის პირველი ასეთი მცდელობა არ არის. 27 ივნისს, მან „დროას“ ლიდერ ელენე ხოშტარიასთან ერთად, უკვე გამოაცხადა შიმშილობა ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტის მოთხოვნით, თუმცა სამ დღეში შეწყვიტეს.

რაც შეეხება მიმდინარე აქციის გავლენას, ანალიტიკოსების შეფასებით, ის ჯერჯერობით ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე.

პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ამ აქციას სარკაზმით უპასუხა, რაც აქციის იზოლაციას ნიშნავს და ნაკლებად მნიშვნელოვნად აღიქმება მმართველი პოლიტიკური ძალის თვალში:

**„მაინც ჩემი ძველი კოლეგაა და სარკაზმით არ მინდა მოვიხსენიო, მაგრამ ვფიქრობ, ძალიან უყურადღებოდ დარჩა, მთელ ამ არეულობაში... ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ვერავის მიეწება და ცდილობს, თავი შეგვახსენოს“.**

ეს განცხადება ბადებს კითხვას: **ხომ არ არის ეს აქცია ფოფხაძის მიერ ყურადღების მიქცევის მცდელობა, განსაკუთრებით, იმ ფონზე, როცა ის „ვერავის მიეწება“ და ვერცერთ ოპოზიციურ ცენტრს ვერ დაუკავშირა თავი?**

პოლიტოლოგისა და ფსიქოლოგის **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, მოშიმშილეების მოთხოვნების დაკმაყოფილება ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო თავად შიმშილობა მიმდინარე პროტესტის მასშტაბზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს.

**„იგივე მოთხოვნებით ერთ წელზე მეტია, იმართება აქციები და რამე შედეგი ამ აქციებს ჰქონდა? ამ შიმშილობამ რა შეიძლება დაამატოს? ლოგიკურადაც არ უნდა ელოდებოდე რამე კონკრეტულ შედეგს ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში. დავუშვათ, გაათავისუფლა სახელმწიფომ პატიმრები, ესე იგი, ამით სახელმწიფო ამბობს, რომ ესენი პოლიტიკური პატიმრები არიან? პოლიტიკური მოტივით არიან დაჭერილები და არა იმიტომ, რომ ქუჩა გადაკეტეს? ასე რომ, თვითონ მოთხოვნაშია ჩადებული ისეთი ფორმულირება, რომელიც საეჭვოს ხდის, რომ სახელმწიფომ ეს მოთხოვნა შეასრულოს“.**

რამაზ საყვარელიძე, გედევან ფოფხაძის მსგავსი პროტესტის კონტექსტში, ხაზს უსვამს, რომ შიმშილობა ხშირად პოლიტიკური ბერკეტის სახით გამოიყენება, თუმცა არაეფექტიანად. მისი აზრით, დღევანდელ პირობებში, ეს უფრო ემოციური და რესურსის დანახარჯის ფორმაა, ვიდრე რეალური ბერკეტი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

SOS!

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაქვეყნა პარლამენტის 88 წევრის კონსტიტუციური სარჩელი პოლიტიკური პარტიების „ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია, „გირჩი“, დროა“, „ძლიერი საქართველო - ლელო ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე. კონსტიტუციური სარჩელი რამდენიმე თავისგან შედგება – კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალადობით შეცვლა, ადამიანის უფლებების სისტემური და სისტემატური ხელყოფა, საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული მოვლენები, 2012 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენები.

ამასთან, როგორც სასარჩელო მოთხოვნაშია აღნიშნული: „ვინაიდან ზემოხსენებული პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა და ძალადობით შეცვლა, საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ვითხოვთ, შემდეგი პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად, აიკრძალოს ეს პოლიტიკური პარტიები და გაუქმდეს მათი რეგისტრაცია“.

კონსტიტუციურ სარჩელს ერთვის: 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა; პოლიტიკური პარტიების სარეგისტრაციო მოწმობები (რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები); სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.

აღსანიშნავია, რომ ამ სარჩელს არ ერთვის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის დავით გარეჯის საქმე. ამ საკითხზე არ უმსჯელია არც პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას. ამ დრომდე, პროკურატურას დაკითხული არ ჰყავს ამ საქმის შემოქმედი, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. საქმე კი სასამართლოშია, მაგრამ ბოლო სასამართლო სხდომა 2023 წელს გაიმართა. საქმეს ჰყავს ორი ბრალდებული – ნატალია ილიჩოვა და ივერი მელაშვილი, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 28 იანვარს გამართულ წინასასამართლო სხდომაზე 20 000 – 20 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

# ისევ ღალატის „სუნი ტრიალებს“!



## დავით გარეჯის საქმე:

### მელაშვილი-ილიჩოვას ბრალდების საქმეზე გაჩნდებიან სხვა ფიგურანტებიც

**შეგახსენებთ, პროკურატურამ გამოაქვეყნა ფარული ჩანაწერი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მელაშვილი და ილიჩოვა საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში, ზემდგომი თანამდებობის პირების დავალებით მოქმედებდნენ. ასევე, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში, ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის, დავით გარეჯთან დაკავშირებით.**

ასევე, შეგახსენებთ მიხეილ სააკაშვილის ცნობილ განცხადებასაც, რომელიც 2007 წელს, ილჰამ ალიევთან შეხვედრის შემდეგ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გააკეთა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტმა, საზღვართან დაკავშირებით, შეთანხმებას მიაღწიეს.

**„ჩვენ შევთანხმდით, რომ უახლოეს პერიოდში, ჩვენი სამუშაო ჯგუფები ერთმანეთს შეხვდებიან, საზღვრის ხაზი უნდა გაივლოს ისე, რომ სტრატეგიული სიმაღლე, რომელიც აზერბაიჯანს ქვეყნის შიგნით სჭირდება, აზერბაიჯანის ტერიტორიაში მოჰყვეს, ხოლო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მთლიანად საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე უნდა დარჩეს. აქაა ორი საკითხი, ერთია სტრატეგიული სიმაღლის საკითხი, რომელსაც აზერბაიჯანისთვის სამხედრო მნიშვნელობა აქვს, მათი ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისთვის და მეორე მხრივ, გარეჯის მონასტერი, რომელიც არის უძველესი, უმნიშვნელოვანესი ქართული კულტურული და რელიგიური ძეგლი“**, – აცხადებდა **მიხეილ სააკაშვილი** 2007 წლის მაისში.

ცხადია, სააკაშვილის ეს განცხადება აბსურდია, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია, რომ საზღვარი სტრატეგიულ სიმაღლეზე, ანუ ქედზე ისე გაივლოს, რომ ამავე ქედზე მდებარე ჩიჩხიტურის კოშკი და მით უფრო – ქედს მიღმა არსებული უდაბნოს მონასტერი – 70-მდე ქვაბულით, საქართველოს ტერიტორიაზე მოექცეს. ამ რეალობას, წესით, კარგად უნდა აცნობიერებდეს ბრალდებული ივერი მელაშვილი, რომელიც გამორიცხავს, რომ გამოძიებამ ყოფილი პრეზიდენტის დანაშაული დაინახოს ცალკე წარმოებად მიმდინარე საქმეში.

**დავით გარეჯის საქმეზე, სააკაშვილის ბრალეულობის გამოკვეთას არ გამორიცხავენ ანალიტიკოსები და თვლიან, რომ გამოძიებისთვის ძირითადი ვერსია უნდა იყოს სააკაშვილის როლი გარეჯის საქმეში, რადგან ცხადია, რომ მელაშვილი და ილიჩოვა დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებდნენ, მათ ჰქონდათ დავალება – ტექნიკური სამუშაო შეასრულეს. ისე აზომეს და ისე დაიტანეს საზღვარი ნახაზებზე, როგორც დაავალს, რასაც, ცხადია, წინ უძღოდა პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს იყო საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის ერთი ასპექტი, სააკაშვილმა დავით გარეჯის საზღვარი გადმოსწია და რაღაცაში გაცვალა. ცხადია, გამოძიება ამით უნდა დაინტერესდეს და დაკითხოს.**

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე, უფროსი – ჰეიდარ ალიევი და პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეთანხმდნენ, რომ 1938 წლის რუკის შესაბამისად მოხდებოდა დელიმიტაცია და გამიჯვნა ამ საზღვრების, რაც შემდეგ დაარღვია სააკაშვილმა. მოლაპარაკება აწარმოა აზერბაიჯანთან და რაღაც დივიდენდის ფასად დათმო ეს ტერიტორია. ცხადია, უნდა გაირკვეს, რაში გაცვალა, თუმცა რაშიც არ უნდა გაეცვალა, ეს არის უდიდესი დანაშაული.

უფლებადამცველი **დიმიტრი ლორთქიფანიძე,** რომელიც დავით გარეჯის პრობლემატიკით დაკავებულია 2012 წლიდან, რა დროსაც პირველად იჩინა თავი გაუგებრობამ საქართველო-აზერბაიჯანის არადემარკირებულ და არადელიმიტირებულ საზღვარზე. როგორც ლორთქიფანიძე აცხადებს, მას მერე საკმაოდ დიდი დრო გავიდა იმისთვის, რომ მეტი სინათლე მოფენოდა ამ უმწვავეს პრობლემას და გვცოდნოდა, თუ რა სამართლებრივ ბერკეტებს იყენებს სახელმწიფო ეროვნული ინტერესის სადარაჯოზე.

**„2021 წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტერიტორიის უცხო ქვეყნის ინტერესებში დათმობის ფაქტზე, საქმეზე პასუხისგებაში მიეცნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს დემარკაცია-დელიმიტაციის კომისიის თავმჯდომარე და წევრი (ივერი მელაშვილი, ნატალია ილიჩოვა-ბადალიანი), საქმეზე კვალიფიკაციაც მოგვიანებით შეიცვალა და დამძიმდა. საქმე სასამართლოში წარიმართა ორგანიზებული დანაშაულის კუთხით, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ 2006-07 წლებში, ზემოაღნიშნული კომისიის უკანონო გადაწყვეტილებას ორკესტრირებას მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები უწევდნენ.**

**სამი წლის განმავლობაში, სასამართლო სხდომებზე დაიკითხა ათეულობით მოწმე, გაჩნდა ლოგიკური მოლოდინი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის და მოულოდნელად, 2023 წლის 16 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ნინო ნაჭყებია წყვეტს სასამართლო პროცესებს და აგერ უკვე ორ წელზე მეტია, რაც შეჩერებულია წარმოება.**

იხ. 8 გვ.

**აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე, უფროსი ჰეიდარ ალიევი და პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეთანხმდნენ, რომ 1938 წლის რუკის შესაბამისად მოხდებოდა დელიმიტაცია და გამიჯვნა ამ საზღვრების, რაც შემდეგ დაარღვია სააკაშვილმა. მოლაპარაკება აწარმოა აზერბაიჯანთან და რაღაც დივიდენდის ფასად დათმო ეს ტერიტორია. ცხადია, უნდა გაირკვეს, რაში გაცვალა, თუმცა რაშიც არ უნდა გაეცვალა, ეს არის უდიდესი დანაშაული.**



## 2025 წლის 8 ნოემბერს აზერბაიჯანი აღნიშნავს ყარაბაღში ისტორიული გამარჯვების მეხუთე წლისთავს — გამარჯვების დღეს




# ყარაბაღის ომის ლოგიკური დასასრული



8 ნოემბერი დიდებული დღეა, რომელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. პრეზიდენტის, გამარჯვებული უმაღლესი მთავარსარდლის ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით, 30-წლიანი ოკუპაცია 44 დღეში დასრულდა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა აღდგა.

აზერბაიჯანი გამარჯვებული ქვეყანა გახდა, ხოლო აზერბაიჯანელი ხალხი – გამარჯვებული ხალხი. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ ასევე მსოფლიოს აზერბაიჯანის სამხედრო და ეკონომიკური ძალა აჩვენა. სამამულო ომის დასრულებისთანავე, ყარაბაღში მასშტაბური აღდგენითი სამუშაოები დაიწყო და სიცოცხლე ამ ადგილებში დაბრუნდა.

2020 წლის 8 ნოემბერი ჩვენი ხალხის ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ბრწყინვალე გამარჯვება. აზერბაიჯანელმა სამხედროებმა მთებში მდებარე ქალაქი შუშა სომეხი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს.

ჩვენმა გმირმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რთული მთის რელიეფის, ციცაბო კლდეების, ხშირი ტყეების, ღრმა ხეობების და რთული და გაუვალი გადასასვლელების გადალახვით, მტრის ჯარისკაცები შუშადან განდევნეს, რომელიც ყარაბაღის გვირგვინის მარგალიტად ითვლება. პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ბრძანებულებით, ამ ისტორიული მოვლენის დღე – 8 ნოემბერი – გამარჯვების დღედ გამოცხადდა. 2021 წლის 14 იანვარს, სახელმწიფოს მეთაურმა, გამარჯვებულმა უზენაესმა მთავარსარდალმა ილჰამ ალიევმა შუშაში აზერბაიჯანის სამფეროვანი სახელმწიფო დროშა აღმართა!..

მოდით, გადავხედოთ ყარაბაღის გამარჯვებისა და სამამულო ომის გზის რამდენიმე მომენტს, აზერბაიჯანის მამაცი არმიის საბრძოლო გზას.

2020 წლის 27 სექტემბერს, სომხეთის მიერ ჩადენილი მორიგი სამხედრო პროვოკაციების საპასუხოდ, აზერბაიჯანის არმიამ კონტრშეტევითი ოპერაცია დაიწყო. ომის პირველ დღესვე გაირღვა მტრის მიერ ათწლეულების განმავლობაში აშენებული და გამაგრებული თავდაცვითი ხაზი. ოკუპაციისგან გათავისუფლდა ფუზულისა და ჯაბრაილის რეგიონების ექვსი სოფელი, ასევე აღდარასა და მუროვდაგის მიმართულებით მდებარე სიმაღლეები.

ყარაბაღის ომის პირველივე დღიდან, აზერბაიჯანის არმიამ, მუდმივად წინსვლისას, გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა მტერს, ერთმანეთის მიყოლებით გაათავისუფლა ჩვენი დასახლებები. 3 ოქტომბერს, მტრის კლანჭებიდან გათავისუფლდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სოფლები სუგოვუშანი და თალიში, ხოლო ერთი დღის შემდეგ – ქალაქი ჯაბრაილი და რეგიონის 9 სოფელი.

9-დან 26 ოქტომბრამდე მტრისგან გათავისუფლდა ხოჯავენდის რაიონის დასახლება ჰადრუთი, ფუზულის ქალაქი, ხუდაფერინის ხიდი, ზანგილანისა და გუბადლის ქალაქები.

### გამარჯვებისკენ მიმავალი რთული გზა

აზერბაიჯანის არმია შუშასკენ შეუჩერებლად, დიდი თავდაჯერებულობით მიიწევდა წინ და თითქმის შეუძლებელი ამოცანა შეასრულა.

გმირმა მეომრებმა წარმატებით აღასრულეს საბრძოლო მისია, გადალახეს მთები და კლდეები, გადალახეს გრძელი მანძილები უგზოობის პირობებში. ჯარისკაცებისა და ოფიცრების საბრძოლო სტილი, უძველესი ისტორიული ქალაქის განთავისუფლება მისი განადგურების ან დაზიანების გარეშე, სრულიად ახალი იყო სამხედრო სტრატეგიაში. აზერბაიჯანელი ხალხის გმირი შვილების მიერ ნაჩვენები სიმამაცის უპრეცედენტო მაგალითის შედეგად ის, რაც ოდესღაც ზღაპრად და ოცნებად ჩანდა, რეალობად იქცა. უდავოა, რომ შუშას ოპერაცია ყარაბაღის გამარჯვების მწვერვალზე დგას. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, ამ ბრწყინვალე გამარჯვების არქიტექტორმა, შეასრულა მამის ანდერძი და დიდი ლიდერის მიერ დაწყებული საქმე ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანა, რითაც სამუდამოდ ჩაწერა თავისი სახელი აზერბაიჯანის ისტორიაში, როგორც ძლევამოსილმა მეთაურმა, გამარჯვებულმა უზენაესმა მთავარსარდალმა.




### შუშას განთავისუფლებამ ომის ბედი გადაწყვიტა

2020 წლის 8 ნოემბერს, პრეზიდენტმა, უზენაესმა მთავარსარდალმა ილჰამ ალიევმა, მოწამეთა ხეივნიდან ხალხისადმი მიმართვაში, ნანატრი სასიხარულო ამბავი გაავრცელა, რაც, ფაქტობრივად, ომის ბედის გადაწყვეტას ნიშნავდა.

მეორე დღეს, 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ლაჩინის რაიონის სოფლები, დამპყრობლებისგან გაიწმინდა. საბოლოოდ, 9-10 ნოემბრის ღამეს ხელმოწერილი სამმხრივი განცხადების თანახმად, სომხეთმა ჩვენი სხვა ოკუპირებული რეგიონებიდან გასვლის თარიღი დაასახელა. კაპიტულაციის აქტზე ხელმოწერის შემდეგ, სომხეთი იძულებული გახდა ბრძოლის გარეშე დაებრუნებინა აღდამის რაიონის ოკუპირებული ნაწილი, ქალბაჯარის და ლაჩინის რაიონები. საერთო ჯამში, მამაცმა აზერბაიჯანის არმიამ 44 დღის განმავლობაში ოკუპაციისგან 5 ქალაქი, 4 დასახლებული პუნქტი და 286 სოფელი გაათავისუფლა.

ორმოცდაოთხდღიანი სამამულო ომი, განსაკუთრებით შუშას ოპერაცია, აზერბაიჯანის სამხედრო ისტორიის ყველაზე ნათელი ფურცელია. აზერბაიჯანის საბრძოლო გამოცდილება და ტაქტიკა, რომელმაც 21-ე საუკუნის ომი წამოიწყო, სამხედრო ექსპერტების მიერ მაღალ შეფასებას იმსახურებს და მსოფლიოს წამყვან სამხედრო სკოლებში სწავლობენ.

### ისტორიული გამარჯვების დიდი ღირებულება

ქვეყნის პრეზიდენტმა, უმაღლესმა მთავარსარდალმა ილჰამ ალიევმა შუშას გათავისუფლებისა და 8 ნოემბრის ისტორიული მნიშვნელობა შემდეგნაირად დაახასიათა: „შუშა ახლა თავისუფალია! ჩვენ შუშაში დავბრუნდით! ჩვენ ეს ისტორიული გამარჯვება ბრძოლის ველზე მოვიპოვეთ.

2020 წლის 8 ნოემბერი სამუდამოდ დარჩება აზერბაიჯანის ისტორიაში. ეს ისტორია სამუდამოდ იცოცხლებს. ეს ჩვენი დიდებული გამარჯვების, ჩვენი ტრიუმფის დღეა! ჩვენ ეს გამარჯვება ბრძოლის ველზე მოვიგეთ და არა მოლაპარაკებების მაგიდასთან. მე არაერთხელ მითქვამს, რომ ამ კონფლიქტისთვის – სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისთვის – სამხედრო გადაწყვეტილებებიც არსებობს და დღეს ჩვენ ამას ბრძოლის ველზე ვამტკიცებთ“.

აზერბაიჯანელი ჯარისკაცები და ვეტერანები, რომლებმაც დაამსხვრიეს „უძლეველი სომხური არმიის“ მითი და მტერს ბრძოლის ველზე ომისა და მამაცობის გაკვეთილი აჩვენეს, სამუდამოდ აღბეჭდილნი არიან ჩვენი ისტორიის და ხალხის მეხსიერებაში. ეს გამარჯვება, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით მიაღწიეს, არა მხოლოდ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების, არამედ მთელი აზერბაიჯანელი ხალხის გამარჯვება იყო!

### დიდებული გამარჯვებიდან დიდ დაბრუნებამდე

აზერბაიჯანელი ხალხი მოწმეა აზერბაიჯანის პრეზიდენტის აღმშენებლობის ნიჭისა, ასევე მისი უსაზღვრო მონდომებისა და შეუპოვრობისა სამშენებლო სამუშაოებში.

თავდაჯერებული ნაბიჯები იდგმება დიდებული გამარჯვებიდან დიდი დაბრუნებისკენ, სიცოცხლე ბრუნდება ყარაბაღში. ათასობით ოჯახის დაბრუნება განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში უკვე უზრუნველყოფილია და მათ ახალი სახლების გასაღებები გადაეცათ.

დღეს ჩვენი ქვეყნის დიდი ლიდერის ჰეიდარ ალიევის სული ბედნიერია. რადგან ყარაბაღის ომმა, რომელიც მან წლების წინ დაიწყო, ლოგიკურ დასასრულს მიაღწია და დიდებული გამარჯვებით დასრულდა. აზერბაიჯანელი ხალხი დარწმუნებულია, რომ ეს გამარჯვებები გაგრძელდება და პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხელმძღვანელობით, წარმატების ახალი მწვერვალები დაიპყრობა.

რენა გუსეინოვი,
ახალგაზრდული ცენტრი „ალიანსის“ აღმასრულებელი დირექტორი.

გურამ მარხულია,
პროფესორი.

# კონგრესმენმა საიდუმლო გასცა!

## ტულსი გაბარდი აღიარებს, რომ წლების განმავლობაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებაზე (REGIME CHANGE) იყო ორიენტირებული




**აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა ახლო აღმოსავლეთის ოფიციალურ პირებს განუცხადა, რომ „რეჟიმების შეცვლის ან ერის მშენებლობის“ ამერიკული სტრატეგია დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის დროს დასრულდა. ტულსი გაბარდის კომენტარები, რომლებიც მან პარასკევს ბაჰრეინში გამართულ ყოველწლიურ უსაფრთხოების სამიტზე (Manama Dialogue) გააკეთა, ხაზს უსვამს განცხადებებს, რომლებიც ტრამპმა მიმდინარე წლის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ვიზიტისას გააჟღერა.**

ტრამპის მეორე ვადაში, ამერიკის წინა მიზნები – ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ხელშეწყობა რეგიონში – ეკონომიკურ კეთილდღეობასა და რეგიონულ სტაბილურობაზე ორიენტაციით ჩანაცვლდა. ამაში შედის ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფა, რომელმაც დაასრულა ისრაელის ორწლიანი ომი ღაზაში, ასევე შეაჩერა ისრაელის 12-დღიანი ომი ირანთან, მაგრამ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამერიკულმა ბომბდამშენებმა ირანის ბირთვულ ობიექტებზე იერიში მიიტანეს.

**„წლების განმავლობაში ჩვენი საგარეო პოლიტიკა არაპროდუქტიულ და დაუსრულებელ ციკლში იყო ჩართული – რეჟიმების შეცვლისა და ერის მშენებლობის ციკლში“,** – განაცხადა გაბარდმა, ჰავაიდან არჩეულმა ყოფილმა კონგრესმენმა და აშშ-ის ეროვნული გვარდიის ვეტერანმა.

**„ეს იყო ერთგვარი უნივერსალური მიდგომა: რეჟიმების დამხობა, ჩვენი მმართველობის სისტემის სხვებისთვის თავზე მოხვევა, კონფლიქტებში ჩარევა, რომელთა არსი ბოლომდე არ გვესმოდა, და საბოლოოდ, მეტი მტერი გვრჩებოდა, ვიდრე მოკავშირე“.**

მან დაამატა: **„შედეგი იყო ტრილიონობით დახარჯული დოლარი, უთვალავი დაკარგული სიცოცხლე და, ბევრ შემთხვევაში, უსაფრთხოების კიდევ უფრო დიდი რისკის შექმნა“. ეს შეფასება ეხმიანება ტრამპის ხედვას იმ ომებზე, რომლებიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაიწყო. ტრამპმა თავის პირველ ვადაში ავღანეთიდან გასვლის შეთანხმება გააფორმა, რაც ბაიდენის ადმინისტრაციის დროს ქაოსურ გამოსვლად იქცა.**

**თუმცა, სერიოზული გამოწვევები კვლავ რჩება, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. გაბარდმა თავის მოკლე გამოსვლაში აღნიშნა, რომ ღაზაში ცეცხლის შეწყვეტის საკითხი კვლავ „მყიფეა“. მან ასევე დაადასტურა, რომ ირანი კვლავ წარმოადგენს საფრთხეს, რადგან ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, ირანის ბირთვულ ობიექტებზე ბოლო დროს კვლავ შეინიშნება გააქტიურება. ამ მოვლენებს წინ უძღოდა ტრამპის განცხადება, რომ ის არ განიხილავდა ვენესუელაში სამხედრო დარტყმებს, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელდა ცნობები, თითქოს აშშ კარიბის ზღვის რეგიონში ე.წ. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის გაფართოებას აპირებდა.**

როდესაც ჟურნალისტებმა პარასკევს ტრამპს ჰკითხეს, მართალი იყო თუ არა გავრცელებული ცნობები ვენესუელაში შესაძლო დარტყმებზე, მან უპასუხა: **„არა“!**

**„წინ რთული და არაერთმნიშვნელოვანი გზაა, მაგრამ პრეზიდენტი ამ გზაზე მტკიცედ დგას“,** – განაცხადა **გაბარდმა.**

---

**„ტურიზმი ამჟამად საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული საყრდენია“** – ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული ქუვეითის გაზეთ **„ქუვეით თაიმსის“ (Kuwait Times)** 5 ნოემბრის ნომერში ინტერვიუ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან **მაია ომიაძესთან**, რომელსაც საჯივ პიტერი, გაზეთის ბიზნეს-რედაქტორი ესაუბრება.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

Kuwait Times
Established 1961


10
Kuwait Times
Business
Wednesday, November 5, 2025

Tourism now a strategic pillar of Georgia's economy: GNTA head

Travel sector contributes 7.3% to Georgia's GDP in 2024 in post-pandemic rebound

# „ტურიზმი ამჟამად საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული საყრდენია“

**საქართველოს მდიდარი ისტორია, რომელიც ათასობით წელს ითვლის, ასახულია ქვეყნის უძველეს არქიტექტურაში, რომლის ძეგლები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი და ისეთ ეროვნულ ტრადიციებში, როგორებიცაა მრავალხმიანი სიმღერები და საყოველთაოდ ცნობილი კულინარული ხელოვნება.**

გაზეთ „ქუვეით თაიმსისათვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მაია ომიაძე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA) ხელმძღვანელი, საუბრობს თავისი მისიის შესახებ, რომელიც მსოფლიო კლასის ტურისტულ მიმართულებებში (წელიწადის ყველა დროს) საქართველოს წარმოჩინებას ემსახურება. მაია ომიაძე, რომელსაც ფართო გამოცდილება აქვს როგორც სტრატეგიულ კომუნიკაციებში, საერთაშორისო მარკეტინგში, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობაში, დიდ ძალისხმევას ახმარს მსოფლიოში საქართველოს ცნობადობის გაზრდას და მოგზაურობის მოყვარულთა მიზიდვას სხვადასხვა ქვეყნებიდან.

**– ტურიზმი საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სექტორად ითვლება და დიდწილად პოზიტიურ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. თუ შეიძლება გვესაუბროთ ტურისტული სექტორის მიერ შეტანილ წვლილზე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში?**

– საქართველო სწრაფად გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად. ამ იმპულსის გასაძლიერებლად ჩვენ ვახდენთ მრავალკომპონენტიანი სტრატეგიის რეალიზებას, რომელიც მიმართულია მდგრად განვითარებაზე... მატულობს სამუშაო ადგილებიც. ჩვენი მიზანია საქართველოს პოზიციონირება მაღალი ხარისხის მქონე ტურისტულ მიმართულებად წლის ყველა დროში.

ბოლო წლებში საქართველოს ტურისტული ინდუსტრია დამაჯერებელი და მდგრადი ზრდის დემონსტრირებას ახდენს. 2024 წელს ჩვენს ქვეყანას 7,4 მილიონი უცხოელი ტურისტი ეწვია, რაშიც ასახულია ზრდის ტენდენცია გლობალური პანდემიის შემდეგ. ტურიზმის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 7,3%-ს აღწევს, რაც ხაზს უსვამს ამ დარგის როგორც ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული საყრდენის როლს.

**– საქართველოს ხშირად წარმოსახავენ ისეთ ქვეყნად, სადაც ზღვა, მთები, კურორტები და კულტურა ერთ ადგილზეა შეთავსებული. შეგიძლიათ უფრო ფართოდ გვესაუბროთ ამ უნიკალურ შეთავსებაზე, რომელიც საქართველოს ტურიზმის ერთ-ერთ უნიკალურ მიმართულებად წარმოაჩენს?**

– საქართველოს განსაკუთრებული მიმზიდველობა გამოიხატება მის არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებაში და კომპაქტურობაში ერთ პატარა ტერიტორიაზე. საქართველო არის მსოფლიოში ერთ-ერთი იშვიათი ადგილი, სადაც მოგზაურებს შეუძლიათ ერთი სტუმრობით ნახონ ზღვა, მთები, კურორტები და გაეცნონ მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. სულ რაღაც რამდენიმე საათის განმავლობაში ტურისტებს შეუძლიათ მოინახულონ შავიზღვისპირეთი – ბათუმი, და კავკასიის მთების თოვლიან-ყინულოვანი მწვერვალები – სვანეთისა და ყაზბეგის რეგიონებში. ამით ისინი დარწმუნდებიან საქართველოს ლანდშაფტისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნებაში.

და რაც უფრო განსაკუთრებულს ხდის საქართველოს მსოფლიოში, ეს არის მისი ეროვნული კულტურა და ხალხური ტრადიციები. ჩვენი ისტორია გამოხატულია უძველეს არქიტექტურაში – იმ ძეგლებში, რომლებიც იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში არიან შეტანილნი. ჩვენ გვაქვს მრავალხმიანი უნიკალური სიმღერები და ვფლობთ საყოველთაოდ ცნობილ კულინარულ ხელოვნებას. საქართველოს მოსახლეობა განთქმულია თავისი სტუმართმოყვარეობით. ჩვენთან ბევრი უცხოელი ტურისტი სარგებლობს თანამედროვე კურორტებით და გამაჯანსაღებელი ცენტრებით, სადაც მაღალი დონის მომსახურება და კომფორტია. აი, სწორედ ამ ბუნებრივი სილამაზის, მდიდარი კულტურისა და გულწრფელი სტუმართმოყვარეობის იშვიათი შეთავსება წარმოაჩენს საქართველოს იმ უნიკალურ ადგილად, სადაც ყოველ მოგზაურს დაუვიწყარი შთაბეჭდილების მიღება შეუძლია.

**– ქართული სამზარეულო ცნობილია იმით, რომ საოცრად არის შეზავებული ტრადიციული გემოვნება თანამედროვე კულინარულ ხელოვნებასთან. გააცანით ჩვენი გაზეთის მკითხველებს ქართული ეროვნული სამზარეულოს მიმზიდველობის საიდუმლო და ის გამორჩეული თავისებურება, რაც საჭმელებში, ერთი მხრივ, აღმოსავლური და დასავლური გავლენების შეთავსებაში, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებაში გამოიხატება...**

– საქართველოსათვის გასტრონომია უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი საჭმელი და კვების წესი – ეს არის ჩვენი სულიერებისა და თვითმყოფადობის ნაწილი. ის, რასაც ჩვენ ვამზადებთ და რითაც სტუმრებს ვუმასპინძლდებით, ასახავს იმას, თუ როგორი ერი ვართ. ქართული ნადიმი – სუფრა – ყოველთვის სიმბოლიზებული იყო და არის მასპინძლის გულუხვობაში, სტუმრებისადმი ერის ისტორიის გადმოცემაში და ერთიანობაში. ნადიმის დროს სუფრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ემოციებს, ეცნობიან ტრადიციებს და ისტორიას. სწორედ ეს არის ჩვენი ურთიერთობის წესი სხვა ხალხებთან.

ის, რაც ჩვენს სამზარეულოს ნამდვილად უნიკალურს ხდის, არის ბალანსი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის – გემოვნების ხელოვნება შეთავსებულია თანამედროვე კრეატიულობასთან. ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნებით რეგიონების მიხედვით – ქვეყნის ყოველ კუთხეში მომზადებული საჭმელი თავისებურ ინგრედიენტებს შეიცავს, აქვს თავისებური ტექნოლოგია და ტრადიცია. ჩვენ კულინარულ კულტურას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ ის მაინც ვითარდება და ახალ თავისებურებებს იძენს. მოგზაურებს შეუძლიათ გასინჯონ როგორც მარადიული კლასიკური საჭმელები, ასევე აუტენტური კერძები რეგიონებში, რომელთა მომზადების წესები თაობიდან თაობებს გადაეცემა და მოსახლეობა მათ სიყვარულით ინახავს.



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

# მშვიდობის ჩირაღდანი საჩუქრად — საბერძნეთს!





## მოქანდაკე გიორგი (გოგა) შხვაცაბაიას ოლიმპიას საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა

**ცნობილი ქართველი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი რუსთაველისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე გიორგი შხვაცაბაიას ახლახან საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიას საპატიო მოქალაქეობა მიანიჭეს.**

1992 წლის 5 ივნისს, საბერძნეთის უძველეს ოლიმპიაში, ბარსელონის ოლიმპიადის ცეცხლის დანთების ცერემონიალის დროს, საზეიმოდ გაიხსნა ბრინჯაოს ფრთოსანი ქალის ქანდაკება – „მშვიდობის ჩირაღდანი“, რომელიც ქართველმა მოქანდაკემ გიორგი შხვაცაბაიამ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით საჩუქრად გადასცა საბერძნეთს. ძეგლი აღიმართა ოთხას მეტრში იმ ადგილიდან, სადაც პრაქსიტელის „ჰერმესი“ დგას. მაშინ აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა ბერძნული გაზეთი „დემოკრატია“, რომელიც წერდა: **„ამ ბრწყინვალე ნამუშევარმა აღტაცებაში მოიყვანა ბერძნული საზოგადოება. ჩვენ ვიხილეთ მეოცე საუკუნის თვალსაჩინო მოქანდაკის თანამედროვე „NIKE“, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ძეგლი ნიმუშია მრავალტანჯული ქართველი ერის მშვიდობის იდეალებისა, ერთგულებისა, ჰუმანური და ესთეტიკური მსოფლმხედველობისა. ძეგლის ავტორი გიორგი შხვაცაბაია ბერძენ და ქართველ ხალხთა შორის მეგობრობის დესპანად გამოაცხადეს“.**

საბერძნეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა კონსტანტინოს კარამანლისმა კი ეს ისტორიული მოვლენა ასე შეაფასა: „ეს მონუმენტი ჩვენს ორ ხალხს შორის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ჩინებული სიმბოლოა და სამუდამოდ დარჩება საბერძნეთის მიწაზე დაფნის გვირგვინით შემკობილი ფრთოსანი ქანდაკება, როგორც სიმბოლო საქართველო–საბერძნეთის ურთიერთკავშირის, უძველესი ტრადიციების აღორძინებისა და მსოფლიოს ხალხებს შორის მშვიდობის დამკვიდრებისა“.

**დაჯილდოების ცერემონია ამ წლის სექტემბერში შედგება და მას გიორგი შხვაცაბაია დაესწრება.**

# ისევ ღალატის „სუნი ტრიალებს“!

## დავით გარეჯის საქმე: მელაშვილი-ილიჩოვას ბრალდების საქმეზე გაჩნდებიან სხვა ფიგურანტებიც

(მეხუთე გვერდიდან)

**აღნიშნულთან დაკავშირებით, მივმართე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ვესაუბრე მოსამართლის თანაშემწეს ანა ანდღულაძეს, რომელმაც განმიცხადა, რომ მოსამართლეს თურმე დრო არ ჰქონია გარეჯის საქმის გასაგრძელებლად, ვინაიდან მრავლად ჰქონია სხვა საპატიმრო საქმეები განსახილველად“,** — აცხადებს **დიმიტრი ლორთქიფანიძე.**



კითხვაზე, რატომ არ დაინტერესდა ამ საკითხით დროებითი საპარლამენტო-საგამოძიებო კომისია, დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ კომისიის მუშაობის პრინციპი ეფუძნებოდა კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, 2003-12 წლებში ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა შესწავლას და დასკვნის ქვემდებარეობას შესაბამისი უწყებებისადმი, როგორც გენერალური პროკურატურის, ისე საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით.

**„რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კომისია ირიბადაც კი არ შეხებია გარეჯის კრიზისს, რისი მიზეზიც, ალბათ, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ პარალელურად მიმდინარე, თუმცა იმ მომენტისთვის შეჩერებულ სასამართლო სამსჯავრო გამოძიებისთვის არ შეეშალა ხელი და პოლიტიკური სპეკულაციებისთვის არ გაეჩინა დამატებითი სივრცე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემდეგ, რაც დენაციფიკაციის სამართლებრივი პროცედურები დასრულდება საკონსტიტუციო სასამართლოში, მელაშვილი-ილიჩოვას ბრალდების საქმეზე გაჩნდებიან სხვა ფიგურანტებიც და საქმის წარმოებაც განახლდება სასამართლოში. მინდა მჯეროდეს, რომ ეს პროგნოზი ახდება“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში დავით კუხალაშვილი აცხადებს, რომ იმ ფრაგმენტის ანალიზი, რაც გამოქვეყნდა და მუსირებს სოციალურ ქსელებში, პირდაპირ ჩანს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფების ერთ-ერთი წევრი, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, წინასწარ ადასტურებს თავის პოზიციას.

**„ანუ თავის გადაწყვეტილებას აფიქსირებს წინასწარ, როდესაც ამბობს, რომ მან მიიღო ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის დამაზიანებელი გადაწყვეტილება, როდესაც თქვა, რომ ის ნაწილი, რაც მერე უნდა გადაეცეს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს, მათთვის წარმოადგენს სამხედრო სტატეგიული დანიშნულების ტერიტორიას.**

**აქ ჩნდება შეკითხვა და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოხდეს სამხედრო დაპირისპირება, მაგრამ როდესაც საუბარია სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების წერტილზე, გამოდის, რომ მან უცხო სახელმწიფოს ხელი შეუწყო იმაში, რომ საომარი მოქმედებების შემთხვევაში, შეუქმნა პლაცდარმი წარმატებისთვის და ამ საქმეზე უკვე არაფერი არ ისმის. ამაზე დიდი ღალატი, ამაზე დიდი დანაშაულის ნიშნების შემცვლელი ქმედება საქართველოს უახლოეს ისტორიას არ ახსოვს.**

**რის საფასურად და რის ხარჯზე მოხდა? აქაც ხომ არ არის გარკვეული სადაზვერვო კორუფცია და ხომ არ მოხდა იმ სამხედრო სტრატეგიული ტერიტორიის ყიდვა, ეს უკვე გამოძიების თემაა. რატომ არ არის დაკითხული საააკაშვილი? — ეს უნდა ვკითხოთ საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომელსაც ევალებოდა გამოკითხვა და შემდეგ სამართლებრივი რეაგირება. აქაც, სავარაუდოდ, იკვეთება, როგორც სხვა ბევრ დანაშაულთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეების დაბერება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას არ გააჩნია ოპერატიული რეაგირების მექანიზმი. შესაბამისად, რა მიმართულებითაც არ ხდება რეაგირება, იმ მიმართულებით სუსტდება ყოველთვის სახელმწიფო“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დავით კუხალაშვილმა.**

**თამთა ქარჩავა**

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარლენ ბუჯიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარლენ ბუჯიაშვილი (პ/ნ 23001002388), თბილისი, გლდანი, VII მ/რ, კორ. 17ბ, ბ. 69

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თიანეთი, სოფელი თოლენჯი (საკადასტრო კოდი: 73.08.29.039)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 39989.76 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 7 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 20 ნოემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP117814225;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1178142

**6. მოვალე:** მარლენ ბუჯიაშვილი (პ/ნ 23001002388), თბილისი, გლდანი, VII მ/რ, კორ. 17ბ, ბ. 69

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ‘ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP117814225; ლოტის ნომერი: 1178142).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 20 ნოემბრის 11:00 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკა



## ვინ დათვალოს მკერდზე ჯილდო

**დღე არ გავა, ახალგაზრდა ქართველ ძალოსანთა ევროპული წარმატებებით რომ არ გაგახაროთ. ტრადიციას არც ამჯერად ვღალატობთ და ალბანური დურესიდან მიღებულ მორიგ საამაყო ინფორმაციას გთავაზობთ:**

**23-წლამდელები:** ნათია გადელია (-86 კგ) **– 2 ოქრო** (აკვრა, ორჭიდი) და **1 ბრინჯაო** (ატაცი). გურამ ვეკუა (-110 კგ) – **2 ვერცხლი** (ატაცი, აკვრა) და **1 ბრინჯაო** (ორჭიდი). საბა ასანიძე (94 კგ) – **2 ბრინჯაო** (აკვრა, ორჭიდი).

აქვე გაუწყებთ, რომ **კობა ტყეშელაშვილი** ამერიკაში უძლიერეს მამაკაცთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

## ნავსი გატეხეს

**მარცხიანი პირველი წრის შემდეგ საქართველოს ჩემპიონმა ქუთაისმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ფიბას საკალათბურთო ევროპის თასზე.**

**კოტე ტუღუშის** შეგირდებმა ჩეხეთში 80:73 სძლიეს ბრნოს და რევანში აიღეს ტურნირის სტარტზე წაგებისთვის.

**ყველაზე შედეგიანები:** ბრაუნინგი – 19 ქულა, ალავიძე – 17, ქულა, 6 მოხსნა და 7 ასისტი, გილსონი – 14 ქულა და 14 მოხსნა (ორმაგი დუბლი). 12 ნოემბერს ბერძნულ პერისტერს ვუმასპინძლებთ.



# შემოდგომის ლიგის ბრწყინვალება

**გიორგი მამარდაშვილს ვალენსიას მაისურით მადრიდის რეალი ესპანეთის ლა ლიგაში უკვე ჰყავდა დამარცხებული, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის 15-გზის ტრიუმფატორის დაჩოქება ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში, თანაც მაშინ, როცა ლივერპული კრიზისშია, ხოლო სამეფო კლუბი თითქმის ყველა მეტოქეს ჩაგრავს, დაგვეთანხმებით, მაინც სულ სხვაა.**

არანაკლებ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სანაკრებო პაუზის წინ ჩვენმა თანამემამულემ კარი მშრალად ზედიზედ მეორე შეხვედრაში შეინახა და, პარტნიორთა დამსახურებით, მრისხანე სტუმართაგან მხოლოდ 2 დარტყმის მოგერიება მოუწია.

საპირისპიროდ, კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა მისმა კოლეგამ **ტიბო კურტუამ,** თუმცა, **ალექსის მაკალისტერის** ზუსტ თაურს მე-60 წუთზე ვერაფერი მოუხერხა – 1:0.

დრამატულად განვითარდა მოვლენები მე-4 ტურის საწყისი საღამოს მე-2 ტოპ-წყვილის ცენტრალურ ბრძოლაში, რომელშიც სეზონში უდანაკარგოდ მობურთალმა ბაიერნმა პარიზში მოქმედი გვირგვინოსანი სენ-ჟერმენი დაამარცხა – 2:1.

ტიტანების ჯახში რეკორდმაისტერმა პირწმინდად დაჯაბნა მასპინძლები და **დიასის** დუბლით სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შესვენების წინ კოლუმბიელმა ბომბარდირმა **ჰაკიმი** ლაზარეთში გაამწესა და მსაჯს წითელი ბარათი დასტყუა, ვითარება შეიცვალა, ოღონდ **ნევეშის** პრესტიჟის გოლმა საერთო სურათი ვერ შეცვალა.

ისიც სათქმელია, რომ პირველივე ტაიმში შესაცვლელი გახდა **დემბელეც,** ხოლო **ხვიჩა კვარაცხელიას** ბავარიელთა მცველები რამდენჯერმე ეუხეშნენ და იგი ტრავმას უფლის წყალობით გადაურჩა.

**დანარჩენი შედეგები:** ნაპოლი – აინტრახტი 0:0, სლავია – არსენალი 0:3, ატლეტიკო – სენტ ჟილი 3:1, ბოდო გლიმტი – მონაკო 0:1, იუვენტუსი – სპორტინგი 1:1 (**გიორგი ქოჩორაშვილი** ბოლომდე პორტუგალიელთა რეზერვში დარჩა), ტოტენჰემი – კოპენჰაგენი 4:0, ოლიმპიაკოსი – ეინდჰოვენი 1:1.

ვიდრე მეორე სათამაშო დღეს განვითარებულ მოვლენებზე გადავალთ, გაუწყებთ, რომ წლევანდელი **გოლდენ ბოის** გამარჯვებული პსჟ-ს კიდევ ერთი დაშავებული ლიდერი **დეზირე დუე** გახდა, რომელიც **პოგბას, მარსიალისა** და **მბაპეს** შემდეგ მეოთხე ფრანგია, ვინც 21-წლამდელ ტალანტთა შორის აღიარეს. თუ ვინმეს ასეთი არჩევანი არ მოეწონება, მის შარშანდელ შთამბეჭდავ სტატისტიკას გაეცნოს : 61 მატჩი, 16 გოლი და 16 ასისტი! აღარაფერს ვამბობთ მოგებულ ჩემპიონთა ლიგაზე, ქვეყნის ლიგა – 1-ზე, თასსა და სუპერთასზე.



აქვე შეგახსენებთ, რომ ეს პრესტიჟული ტიტული 2002 წლიდან პოპულარული იტალიური გამოცემა **ტუტოსპორტის** ინიციატივით ენიჭება თანატოლთა შორის გამორჩეულ ტალანტს, მისი წინა ლაურეატი კი ბარსელონას ვარსკვლავი **იამალი** გახდა.

არანაკლებ თვალსასეირო გამოდგა მეორე სათამაშო დღის მატჩები. კერძოდ, აღსანიშნავია ერთ დროს მეორე ეშელონის ქვეყნების გუნდების ღირსეული გამოსვლა:

**პაფოსი – ვილიარეალი 1:0.** სამწუხაროდ, ეს სენსაციური შედეგი გარკვეულწილად **გიორგი მიქაუტაძის** უიღბლობის ბრალია, რომელმაც, კვიპროსელთა კარის წინ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა, ორჯერ ააცილა ბურთს ფეხი და 56-ე წუთზე შეცვალეს.

**ინტერი – ქაირათი 2:1.** ყაზახური კლუბი გმირულად გაუმკლავდა წლევანდელ ფინალისტს, რაშიც პირადი წვლილი უთანასწორო ბრძოლაში 76-ე წუთზე ჩაბმულმა **გიორგი ზარიამაც** შეიტანა, თუმცა ბოლოს მაინც ფავორიტმა იძალა.

**ყარაბაღი – ჩელსი 2:2.** აზერბაიჯანული ფეხბურთის პროგრესი გრძელდება და მოვიდა დრო, მივბაძოთ მეზობლებს არა მარტო ფულის, არამედ საკლუბო საქმის კეთებაში. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ არისტოკრატებმა ამავე ტურნირში იმავე მეტოქეს 2-მატჩიანი დუელი 10:0(!) მოუგეს.

**დანარჩენი შედეგები:** აიაქსი – გალათასარაი 0:3 (**ოსიმენმა** ჰეთ-თრიქი შეასრულა), ბრიუგე – ბარსელონა 3:3, სიტი – დორტმუნდი 4:1, ბენფიკა – ლევერკუზენი 0:1, ნიუკასლი – ბილბაო 2:0, მარსელი – ატალანტა 0:1.

**სატურნირო ცხრილი:** ბაიერნი, არსენალი, ინტერი – 12, სიტი – 10, პსჟ, ნიუკასლი, რეალი, ლივერპული, გალათასარაი – 9, ტოტენჰემი – 8, ბარსელონა, ჩელსი, სპორტინგი, დორტმუნდი, ყარაბაღი, ატალანტა – 7, ატლეტიკო – 6, ეინდჰოვენი, მონაკო, პაფოსი, ლევერკუზენი – 5, ბრიუგე, აინტრახტი, ნაპოლი – 4, მარსელი, იუვენტუსი, ბილბაო, სენტ ჟილი – 3, ბოდო გლიმტი, სლავია, ოლიმპიაკოსი – 2, ვილიარეალი, კოპენჰაგენი, ქაირათი – 1, ბენფიკა, აიაქსი – 0 ქულა. მორიგ ტურში ნაადრევი ფინალია: არსენალი – ბაიერნი!

**დაბოლოს – საამაყო ფაქტი:** თბილისის დინამოს 19-წლამდელთა გუნდი გახდა პირველი ქართული კლუბი, რომელიც უეფას ახალგაზრდული ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში გავიდა და გადამწყვეტ რაუნდში 26 ნოემბერსა და 10 დეკემბერს მინსკის დინამოს შეხვდება.

**ნახევარფინალი:** დინამო – ლარნაკას აეკი (კვიპროსი) 2:0. **გოლები:** დანელია, დოლტმურზიევი. პირველი მატჩი 4:3.

## სიბინძურე ოქტაგონზე

**2 ნოემბერს UFC-ის მორიგი ღონისძიება გაიმართა, თუმცა უცნაური ფაქტი დაფიქსირდა, რომელმაც დიდი სკანდალი გამოიწვია. საუბარია აიზეკ დულგარიანსა და კუბელი მებრძოლის იადიერ დელ ვალს შორის გამართულ დაპირისპირებაზე, რომელიც პირველსავე რაუნდში კუბელის გამარჯვებით დასრულდა.**

აღნიშნულ ბრძოლაში ბუკმეკერების აზრით გამოკვეთილი ფავორიტი იყო აიზეკ დულგარიანი, თუმცა ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე საეჭვოდ ძალიან ბევრი ფსონი დაიდო იმაზე, რომ დელ ვალი დულგარიანს პირველსავე რაუნდში მოუგებდა, რაც მართლაც ასე მოხდა. აიზეკი ბრძოლის დროს საკმაოდ უცნაურად იქცეოდა და უცნაურ შეცდომებს უშვებდა. ეს ყველაფერი არ გამოჰპარვია UFC-ის მიერ დაქირავებულ კომპანია IC360-ს, რომელიც პასუხისმგებელია, რომ ივენთებზე მსგავსი ფაქტები არ მოხდეს.

ბოლო სიახლეების მიხედვით საქმეში უკვე ჩართულია FBI, რომელიც აღნიშნული ბრძოლის გარდა კიდევ 100-ზე მეტ ბრძოლას იკვლევს და ამასთან ერთად **ჯეისონ ჰერცოგის** და სხვა მსაჯების მოკვლევაც მიმდინარეობს. **შეგახსენებთ, რომ UFC-იმ აიზეკ დულგარიანი ორგანიზაციიდან ოფიციალურად გარიცხა.**




**რაგბი ევროპის 17-გზის გამარჯვებული საქართველო ტიტულის დაცვას 8 თებერვალს დაიწყებს და 6-კვირიან მარათონს 15 მარტს მადრიდში დაასრულებს.**

ჩემპიონატი 2026 წელსაც შარშანდელი სისტემით გაიმართება. პირველ ეტაპზე 8 გუნდი ორ ჯგუფში გადანაწილდება, საიდანაც ორ-ორი მოწინავე თასის ნახევარფინალში გავა, დანარჩენები კი V-VIII ადგილებისათვის გააგრძელებენ ბრძოლას.

2025 წლის მსგავსად, ბორჯღალოსნები გაისადაც **ა ჯგუფში** ითამაშებენ და მათი მეტოქეები ესპანეთი, ნიდერლანდები და შვეიცარია იქნებიან. ამჯერად შეიცვლებიან მასპინძელი გუნდები და შვეიცარიასა და ნიდერლანდებს სტუმრად ვეთამაშებით, ესპანეთს კი თბილისში დავუხვდებით. **ბ ჯგუფში** პორტუგალია, რუმინეთი, გერმანია და ბელგია მოხვდნენ.

ჩემპიონატს შვეიცარიასთან მატჩით 8 თებერვალს, ივერდონში ვიწყებთ; ნიდერლანდებს 15 თებერვალს ამსტერდამში ვეწვევით; ჯგუფურ ეტაპს კი 21 თებერვალს თბილისში (ავჭალაზე), ესპანეთთან დავასრულებთ. ნახევარფინალები 7-8 მარტს გაიმართება. თითოეული ჯგუფის პირველი და მესამეადგილოსანი გუნდები საკუთარი მოედნის უპირატესობით ისარგებლებენ, ფინალური შეხვედრები კი 15 მარტს ერთ ლოკაციაზე, მადრიდში შედგება.



## მე-18 ტიტულისთვის

ამრიგად, 2026 წლის თებერვალ-მარტში, ბორჯღალოსნები საუკეთესო შემთხვევაში საქართველოში მხოლოდ ორ თამაშს გამართავენ – ჯგუფურ ეტაპზე ესპანეთთან და ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში ნახევარფინალს.

მანამდე კი მათ ნოემბრის სამი ტესტ-მატჩი ელით საქართველოში – 8 და 15 ნოემბერს ბათუმში, შესაბამისად აშშ-სა და კანადასთან, 22 ნოემბერს კი თბილისში, „მიხეილ მესხზე“ იაპონიასთან. სამივე შეხვედრა 16 საათზე დაიწყება.

87 წლისა გარდაიცვალა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პარტიული და სამეურნეო საქმიანობის გამორჩეული პიროვნება, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატი, უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი ბონდო ჯიქია, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ჩვენი ქვეყნის მომავალზე ზრუნვის სამსახურში. უბადლო ნიჭიერებამ, პასუხისმგებლობამ, შრომისმოყვარეობამ მის პიროვნებას სასიკეთო ხიბლი შესძინა და საზოგადოებაში განსაკუთრებული ადგილი დაუმკვიდრა.

შესანიშნავ პიროვნებაზე და ღირსეულ მამულიშვილზე ძნელია ახლის თქმა და დაწერა. იგი გახლდათ უაღრესად კეთილშობილი და დიდი ნიჭით დაჯილდოვებული, თავისი ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე, საუცხოო მეგობარი.

ბატონი ბონდოს მიერ განვლილი გზა სიჭაბუკიდან გარდაცვალებამდე – დიდი სახელოვანი გზაა. ეს გზა იყო წარმატებული და სახელოვანიც, მაგრამ ყოველთვის გამჭვირვალე და სუფთა. იგი სულ მეგობრების გარემოცვაში ტრიალებდა და ყოველთვის გრძნობდა მეგობრების სითბოს და თანადგომას.

ბონდო ჯიქია დაიბადა 1938 წლის 5 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაქვინჯში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. 1956 წელს ირიცხება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე. 1961 წლიდან ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი ებმება სამეურნეო საქმიანობის ფერხულში და მუშაობას იწყებს „საქსოფლტექნიკის" ზუგდიდის რაიონულ გაერთიანებაში ინჟინრად. მისი ნიჭიერება და მაღალი პროფესიონალიზმი არ გამორჩენიათ მხედველობიდან მაშინდელ რაიონულ ხელმძღვანელობას და მას აწინაურებენ ჯერ – კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ქობულეთის, სენაკისა და ზუგდიდის რაიონების ხელმძღვანელად, შემდგომ რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანოებში და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად და გამგებლად მუშაობის პერიოდი.

ერის ღირსეული შვილი იყო ბატონი ბონდო, ნამდვილი ქართველი, მთელი ცხოვრების მანძილზე გულმოდგინედ, საქმის ღრმა ცოდნითა და კეთილსინდისიერებით იღვწოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. ძალიან გვეამაყება, რომ ბრწყინვალე განათლების, მაღალი ინტელექტითა და კულტურით შემკობილმა ადამიანმა, უდიდესი მოქალაქეობრივი მრწამსით, ქართველებისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებითა და ტრადიციებით იცხოვრა ამქვეყნად.

ბატონი ბონდო, როგორც ხელმძღვანელი, ყოველთვის სწორი გადაწყვეტილების მიღების და ყველაზე ოპტიმალური მოქმედების ჭეშმარიტ ხელოვნებას ფლობდა. ის იყო ადამიანთა გულებისაკენ მიმავალი გზის, მათთან ურთიერთობის „ინჟინერი", რომელიც ყოველთვის პირადულს საზოგადოებრივს უმორჩილებდა. მასთან კონტაქტში მყოფ პიროვნებას ყურადღებას აქცევდა, მზად იყო არამარტო მოესმინა და გაეზიარა სხვისი გასაჭირი, არამედ რეალური დახმარება გაეწია.

ბატონმა ბონდომ თავისი მოღვაწეობის ყველა საფეხურზე პრაქტიკულად დაამტკიცა, თუ რას ნიშნავს იყო კარგი მოქალაქე, სუფთა და გამორჩეული ხელმძღვანელი. ვერ იტანდა ვიწრო კარჩაკეტილობას, მოძველებულ სტერეოტიპებს. სიახლისაკენ ლტოლვა, სახელმწიფოებრივი ხედვა, პრობლემისადმი პრინციპული მიდგომა იყო მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი. ამ თვისებების გამო ის სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით, მის მოსაზრებებსა და წინადადებებს ყურადღებით უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ საზოგადოებაში და ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.



# კოხტა კოლხი

„საქმეს არ ეღალატების" – ბრძანებდა ბატონი ბონდო და თავდაუზოგავად, ერთგულად იღვწოდა ყველა სფეროში, სადაც კი მუშაობამ მოუწია. ჰქონდა თანამშრომელთა შეკვრისა და შედუღების საოცარი უნარი, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, არც თვითონ მოისვენებდა და არც სხვას მოასვენებდა. მას უყვარდა მოლხენა და პოეზია, ეფერებოდა და ელოლიავებოდა თითოეულ ქართულ სიტყვას. სიტყვის ოსტატსა და სწორუპოვარ თამადას ყველა პატივს სცემდა. ის იყო კაცი-იმედი, კაცი-დღესასწაული, რომელიც მუდამ თან გვახლდა მის ახლობლებსა და მეგობრებს. აქვე მკითხველს შევახსენებთ დიდი მოურავის გიორგი სააკაძის სიტყვებს: „დიდკაცობას კარგი კაცობა სჯობს, კარგ კაცობას – კარგი მამულიშვილობა". სწორედ ამ შეგონებით ცხოვრობდა ბატონი ბონდო, რომელიც გამუდმებით ფიქრობდა სამშობლოზე, მის მომავალზე და ყველა იმ ფასეულობაზე, რითაც იცხოვრა გარდაცვალებამდე.

ბატონი ბონდო გამოირჩეოდა ქართული სტუმართმოყვარეობით, ჰყავდა უამრავი მეგობარი, ამასთან, არ ივიწყებდა გარდაცვლილ მეგობრებს და ყურადღებას აქცევდა მათ ოჯახებს. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უნიკალური ადამიანური თვისებებით და ხასიათით, იყო ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც ყველასთან გასაოცარ სითბოს აფრქვევდა, მისი ცხოვრება არის მაგალითი, თუ როგორი სიფაქიზით, ერთგულებით, მადლიერებით უნდა იყო გამსჭვალული ქართველი კაცი, წინაპრების, ოჯახის, მეგობრების, ნათესავებისა და კოლეგების მიმართ. დაფასება და პატივისცემა მასთან თავისით არ მოსულა. მან ეს წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომით დაიმსახურა.

ადამიანთა უმრავლესობა ამქვეყნად სიკეთისა და სიყვარულისათვის მოდის. ასე რომ არ იყოს, სამყაროში ბნელი დაისადგურებდა. ჩვენ გვერდით ცხოვრობდნენ ნათელი პიროვნებები, რომლებიც თავისი ალალი და ხალასი ბუნებით სხვებსაც ულამაზებდნენ სიცოცხლის წლებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ბატონი ბონდო, საქართველოს ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, შესანიშნავი მეუღლე, მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა, მეგობარი, კოლეგა. ის თავისი ბუნებით, სულიერებით, კეთილშობილებით, კეთილმოყვარეობით გამორჩეული პიროვნება იყო. თავისი გარეგნობით, ზნეობით, გულწრფელობით და მასზე დამატებული მოქალაქეობრივი პროფესიული კრედო ერთიანდებოდა და რეალიზება ხდებოდა მცნებაში „კოხტა კოლხი", „დიდებული ქართველი". თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებული, უდიდეს პატივს სცემდა მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლებს, მეხსიერების საოცარი უნარის მქონეს, ძალზე უხდებოდა ლექსების კითხვა, მუდამ გამორჩეული მასპინძელი და სუფრის თამადა იყო.

ამ დახვეწილმა და ინტელიგენტმა თავისი ქვეყნის წინაშე დიდი მოვალეობა იკისრა და ეს ტვირთი ბოლომდე ვაჟკაცურად ატარა.

ამ საქმეში მას მუდამ გვერდში ედგა და ხვედრს უმსუბუქებდა მისი შესანიშნავი, უსათნოესი მეუღლე, ქალბატონი მილადა. მათ აღზარდეს საამაყო შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

მისი დაუღალავი შრომისა და აღიარებული ავტორიტეტის დასტურია ის ჯილდოები და წოდებები, რომლებიც დამსახურებულად ჰქონდა მიღებული ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს, ხოლო დამოუკიდებელ საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენითა და ღირსების ორდენით იყო დაჯილდოებული. მინიჭებული ჰქონდა ზუგდიდისა და სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება. იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი. ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

არიან ადამიანები, რომელთა ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გაჩენილ უკმარისობას ვერავინ შეავსებს. ბონდო ჯიქიას გარდაცვალებით გამოწვეულმა სიცარიელემ დაისადგურა სამეგობროში, საზოგადოების დიდ ნაწილში, ვისთვისაც ის გახლდათ კაცურკაცობისა და ზნეობის მაგალითი ბუნებისაგან მომადლებული დიდსულოვნებით, კეთილშობილებითა და სათნოებით. ბატონი ბონდო ამ ქვეყნიდან პირნათელი, ვალმოხდილი წავიდა.

ღმერთმა ზეციურ საქართველოში დაუმკვიდროს ნათელი ადგილი.

ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, როინ მეტრეველი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), მალხაზ ჭანტურია, ვაჟა თორდია, ირაკლი ჩიქოვანი, მერაბ ქვარაია, ედიშერ თოლორაია, გიორგი გუგუჩია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, კლიმენტ ჯანჯღავა, იგორ ქობალია, რაულ ჯახია, ოთარ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, ალვერ იზორია, გურამ ახალაია, ვახტანგ ყოლბაია, ზურაბ ერქვანია, რუდიკ ცატავა, მირზა ქორქაშვილი, გრიგოლ ონიანი, ბადრი ხატიძე, ავთო ბესელია, ხათუნა თორდია, რაულ ჩილაჩავა, გური ოტობაია, ბიძინა სონღულაშვილი, ჯემალ ინაიშვილი, თემურ შაშიაშვილი, დემურ გადელია, მამუკა ადამია, გურამ მისაბიშვილი, სპარტაკ ქობულია, ანზორ მიქავა, დავით ვერავა, ნინო ვიბლიანი, დავით კუხალეიშვილი, ლუდუკ ხასია, გიორგი ნადარაია, გიორგი ბერულავა, მამუკა წოწერია, დავით კოდუა, ბესიკ ჭეჟია, თაზო ფაცაცია, კონსტანტინე კაკავა, გურამ ფიფია, მალხაზ თორია, გიორგი ფარულავა, თენგიზ შანავა, კახა არდია, ტარიელ დგებუაძე, თემურ მურღულია, დავით ქანთარია, გოგი ფაცაცია, გია დარჯანია, ერეკლე ჯაფარიძე, ზაურ გვასალია, მელორ ზარქუა, გონერ სალია, შაქრო ლატარია, იური გუგუჩია, ნუგზარ მალაშხია, რუსიკო ფაცაცია, ზამირა ლადუა, დარეჯან კვარაცხელია, მარინა ჯიქია, ნათია ჯგუშია, ლაშა გვასალია, კლიმენტ კიკალიშვილი, თენგიზ ჭითანავა, ვახტანგ ცხადაია, ნუგზარ სარია, მაიზერ ნანავა, ირაკლი გოგოხია, მურმან ნაჭყებია, თამაზ ცანავა, ლავრენტ კემულარია, ნუგზარ სართანია, გიორგი ყუფუნია, ვახტანგ კუკავა, ემზარ კვარაცხელია, მურთაზ ბოკუჩავა, გული აგუმავა, ზურაბ აბშილავა, ლაურ ჯანაშია, დემიკო ლოლაძე, ვალერი მოქერია, დავით ქობალია, პაატა დანელია, ვაჟა ფიფია.

# შეუდარებელი პატრიოტი

დემურ გადელია, გივი ჯაფარიძე, გურამ გუნავა, გიძინა სონღულაშვილი, ვახტანგ ყოლბაია, მამუკა ადამია, დავით სალარიძე, ოთარ ჭითანავა, ვალერი ასათიანი, სპარტაკ ქოგულია, ბადრი ხატიძე, ნუგზარ ქევხიშვილი, კობა გუჩუკური, ოლეგ ნიკოლეიშვილი, ტარიელ დგებუაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი, ქართული სოფლის ერთ-ერთი რეფორმატორი, ღრმად განსწავლული პროფესიონალი, უკეთილშობილესი ადამიანი, შესანიშნავი მეოჯახე, გამორჩეული მეგობარი

## ბონდო ჯიქია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროს და სრულიად საქართველოს.

# მუდამ დარჩება სიკეთის ნიმუშად

იმიერში გადასახლდა გამორჩეული კოლხი, ბატონი ბონდო ჯიქია. ვერ წარმოგვიდგენია სამეგრელო და, საერთოდ, საქართველო, მის გარეშე.

ბატონი ბონდო ჯიქია, მთელი სიცოცხლე, ღირსეულად ემსახურა თავის სამშობლოს. იგი პროფესიონალიზმთან ერთად, ერთგულებითა და თანადგომის დიდი უნარით გამოირჩეოდა. მოღვაწეობდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე. გასული საუკუნის მიწურულიდან კი სამეგრელოს, მისი ოდაბადეს მმართველი გახლდათ. ამ ხნის განმავლობაში, უდიდესი პასუხისმგებლობითა და განსაკუთრებული გულისხმიერებით უძღვებოდა საქმეს...

იმ პერიოდში არსებული მდგომარეობის გამო, ხშირად უწევდა რისკიანი ნაბიჯების გადადგმაც.

ბატონი ბონდო გახლდათ განსაკუთრებული პიროვნება, ნამდვილი ქართული ხასიათით, ცნობილი იყო, აგრეთვე ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებით. საქვეყნოდ იყო ცნობილი ქართული პოეზიისადმი მისი სიყვარული. ერთ რამედ ღირდა ქართულ სუფრასთან მისი თამადობა, რომელიც შეზავებული იყო ხოლმე ქართველი პოეტების ლექსებით, იუმორით, მაგრამ რაც არ უნდა დაკავებული ყოფილიყო, ოჯახი მისთვის ყოველთვის მთავარი იყო, გახლდათ გამორჩეული მეუღლე, მამა და ბაბუა.

როგორც კოლხი კაცი, ყველაზე მეტად ამაყობდა და ბედნიერი იყო, როცა მშობლიურმა ხალხმა იგი ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ აირჩია...



მისმა გარდაცვალებამ დაამწუხრა ოჯახი, ახლობლები მეგობრები, ზუგდიდელები, ყველა, ვისთვისაც მის გვერდით ყოფნა ბედნიერება იყო.

ბატონ ბონდოს სახელი და მის მიერ გაწეული სიკეთე, მუდამ დარჩება ხალხის ხსოვნაში, როგორც მაგალითი, ღირსეული ქართველი მოქალაქისა. თანაუგრძნობთ ოჯახს, მეგობრებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასი იყო ბატონი ბონდო ჯიქია.

ასეთი ადამიანები ცათა სასუფეველში იმკვიდრებენ ადგილს.

უფალმა დააწესოს სული მისი, სადაც მართალნი განისვენებენ!

მეგობრების სახელით:

ნუგზარ ანთელავა, მამუკა ადამია, სოსო გადელია, გია დარჯანია, ტარიელ დგებუაძე, რობერტ კაჭარავა, დარეჯან კვარაცხელია, ანგულ მიქავა, გურამ მისაბიშვილი, ალექსანდრე სიჭინავა, დავით ქანთარია, ლერი ჭითანავა, ჯამბულ წულაია, ბადრი ხატიძე, ზურაბ ხუნტუა, ერეკლე ჯაფარიძე.

# ერთგულების და ღირსების მაგალითი

## ბონდო ჯიქიას ნათელ ხსოვნას

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭო“ ღრმა მწუხარებით იუწყება გამორჩეული საზოგადო მოღვაწის ბონდო ჯიქიას გარდაცვალებას, რომელმაც თავისი მრავალწლიანი შრომით და მოღვაწეობით ღირსეულად მოემსახურა საქართველოსა და საკუთარ რეგიონს.

ბონდო ჯიქია დაიბადა 1938 წლის 5 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯში. იგი მოღვაწეობდა პარტიულ და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმითა და პრინციპულობით, რისთვისაც მას მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, ღირსების ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი, აგრეთვე ზუგდიდისა და სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბონდო ჯიქიას ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს ერთგულების, შრომისმოყვარეობისა და მოქალაქეობრივი ღირსების ნიმუშს.

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭო“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბონდო ჯიქიას გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობს მის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს, პატივისცემით იხსენებს იმ ადამიანის ცხოვრებას, რომელიც ღირსეულად ემსახურა თავის ხალხსა და სახელმწიფოს.

ბონდო ჯიქიას ნათელი ხსოვნა უკვდავი დარჩება როგორც სამეგრელოს, ისე მთელი საქართველოს ისტორიულ მეხსიერებაში.

„სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს“ სახელით —
თავმჯდომარე
ფრიდონ ინჯია

# ნაღდი მამულიშვილი

ბონდო ჯიქია ის კაცი გახლდათ, მთელი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეობის განმავლობაში რომ ამსხვრევდა სტერეოტიპს რაიონის თავკაცისა თუ ცეკას მდივნის ზედმეტად ოფიციალურობის და მიუკარებლობის თაობაზე.

პირიქით — ამ თავმდაბალ, ხალხის წიაღიდან გამოსულ პიროვნებასთან ურთიერთობა ერთი სიამოვნება იყო და დარწმუნებული უნდა ყოფილიყავი, რომ თქვენს სატკივარს გულთან ახლოს მიიტანდა და, რომ იტყვიან, კლდეს გაანგრევდა, მოყვასისათვის ხვედრი რომ შეემსუბუქებინა.

საუკუნის ზღურბლთან მიახლოებული, ფართო დიაპაზონის მამულიშვილად დაგვამახსოვრდება მისგან ნაამაგარ თითოეულ ქართველს.

მადლიერების გრძნობით —
ოტია და ლამარა სარჩიმელიების ოჯახი

თენგიზ ქავთარაძე და ზაურ ფხალაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული მამულიშვილის

## ბონდო სერაფიონის ძე ჯიქიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



# გარდაიცვალა კინომცოდნე გიორგი დოლიძე

გარდაიცვალა ცნობილი კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი, კინორეჟისორი, ლიტერატორი, ჟურნალისტი, პროფესორი გიორგი (გოგი) დოლიძე.

ინფორმაციას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ავრცელებს.

გიორგი დოლიძემ 1959 წელს დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური და ფრანგული ენების ფაკულტეტი. 1961-1970 წლებში მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლობაში. 1970 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. 1992-2005 წლებში ამავე ინსტიტუტის პრორექტორი იყო.

მისი რეჟისორობით 1981-1987 წლებში აღდგენილია 18 ძველი ქართული მხატვრული ფილმი, მათ შორის ალექსანდრე წუწუნავას „ორი მონადირე“, „ხანუმა“, კოტე მარჯანიშვილის „ამოკი“, „კრაზანა“, „კომუნარის ჩიბუხი“; მიხეილ ჭიაურელის „საბა“; დავით რონდელის „უგუბზიარა“; მიხეილ გელოვანის „ნამდვილი კავკასიელი“; ორადორი შემორჩენილი ფილმი ლადო ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით: „შურისმაძიებელი ღმერთი“ და „ორლოვების ოჯახის სირცხვილი“.

გიორგი დოლიძეს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო და კრიტიკული წერილები ქართული კინოს ისტორიის საკითხებზე. ნათარგმნი აქვს მარკ ტვენის „იუმორისტული მოთხრობები და პამფლეტები“, მაინ რიდის „ოკეანეში დაკარგული“ და სხვა.

2005 წლიდან იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს „ჩოხოსან რაინდთა დასის“ გამგეობის თავმჯდომარე და საზოგადოების ჟურნალის, „რაინდის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

2012 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გიორგი დოლიძის წიგნის „ვასილ ამაშუკელი – კავკასიური კინოს პიონერი“ პრეზენტაცია.

# „ილიას სიტყვის სახე“

## მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციების გამოფენა გაიხსნება




**8 ნოემბერს,19:00 საათზე, ილია ჭავჭავაძის (1837-1907) დაბადების დღეს, „თბილისის მუზეუმების გაერთიანება“ მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ ილუსტრაციების გამოფენას – „ილიას სიტყვის სახე“ უმასპინძლებს.**

ილია ჭავჭავაძე (1837-1907), მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, მუდმივად ახერხებდა თავისი ლიტერატურული და შემოქმედებითი გზის განვითარებას. მისი ნაწარმოებების ილუსტრირება მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, 1914 წელს მოხერხდა, როცა ექიმმა მიხეილ გედევანიშვილმა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი გამოსცა. წიგნი ერთიან მხატვრულ ელემენტად გააზრებულ, აკადემიურ გამოცემას წარმოადგენდა. ილუსტრაციები მხატვარმა ჰენრიკ ჰრინევსკიმ (1869-1938) შეასრულა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების პირველი ილუსტრატორი გახდა.

ჰენრიკ ჰრინევსკის შემდგომ, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებზე სხვადასხვა პერიოდის მრავალმა მხატვარმა იმუშავა, მათ შორის არიან – ელენე ახვლედიანი, უჩა ჯაფარიძე, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ლადო გუდიაშვილი, თეიმურაზ ყუბანეიშვილი, მიხეილ გვაჯაია, დავით (დუდა) გაბაშვილი, იოსებ სამსონაძე, ლალი ზამბახიძე, გივი პეტრიაშვილი, თენგიზ მირზაშვილი, რობერტ სტურუა და სხვანი.

გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ავტორის მიერ შესრულებული ნამუშევრები, მათ შორის თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში, ყვარლის ილიას ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ნამუშევრები“, – წერია „თბილისის მუზეუმების გაერთიანების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**გამოფენა 28 თებერვლამდე გაგრძელდება.**

**მისამართი: თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, ი. ჯავახიშვილის ქუჩა N7.**




# ქუთაისი და ნიკეა 40 წელია, მეგობრობენ!

**„ქუთაისისა და საბერძნეთის ქალაქ ნიკეას მეგობრობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, თანამშრომლობის განახლების მიზნით, საბერძნეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ქართული დელეგაცია“,** – ამის შესახებ ინფორმაციას ქუთაისის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, 3 ნოემბერს, ნიკეას მუნიციპალიტეტში, ქუთაისის მერმა **დავით ერემეიშვილმა** და ნიკეას მერმა კონსტანტინოს მარაგიკისმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, ქუთაისსა და ნიკეას შორის მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

**„მხარეებმა სურვილი გამოთქვეს, ითანამშრომლონ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის, სპორტის, ტურიზმისა და გარემოს დაცვის სფეროებში, ადგილობრივი თვითმმართველობების გამოცდილების გაზიარების მიზნით. ქუთაისსა და ნიკეას უკვე 40-წლიანი მეგობრობა აკავშირებთ. ქუთაისის ერთ-ერთ ყველზე დიდსა და ლამაზ უბანს ნიკეას სახელი ჰქვია, ხოლო ნიკეაში არის ქუთაისის ქუჩა. სწორედ ამ მეგობრობის განსამტკიცებლად ვეწვიეთ საბერძნეთს და ნიკეას მერთან, კონსტანტინოს მარაგიკისთან ერთად ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს, რომელიც თანამშრომლობის განახლებას გულისხმობს.**

ნიკეაში ვიმყოფებოდით ოფიციალური დელეგაციით, პარლამენტის წევრებთან **ზაზა ლომინაძესა** და **გივი ჭიჭინაძესთან**, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ **ლევან ზალკალიანთან** და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან **შალვა კირთაძესთან** ერთად.

მაღალ დონეზე ორგანიზებული შეხვედრებისთვის მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საბერძნეთში **ლევან ბერიძეს** და ათენის ქართული დიასპორის საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელს **ნანა თევდორაძეს**“, – განაცხადა **დავით ერემეიშვილმა.**

# „ლევ ბაიახჩევი 95“

**13 ნოემბერს, 18:00 საათზე დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ლევ ბაიახჩევის პერსონალური გამოფენა გაიხსნება, სახელწოდებით „ლევ ბაიახჩევი 95“.**

ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენა სხვადასხვა დროს მხატვრის მიერ შექმნილ პორტრეტებს, ნატურმორტებსა და პეიზაჟებს აერთიანებს. მის პეიზაჟებში ჰაერი თითქოს სუნთქვას იკრავს, პორტრეტები შინაგანი სიმშვიდითაა მოცული, ნატურმორტებში არა საგნებს, არამედ მათში გამომწყვდეულ ემოციას შევიგრძნობთ.

ლევ ბაიახჩევი მხატვართა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც იდეოლოგიური პრესის და სოცრეალიზის მიერ დადგენილი მკაცრი წესების მიუხედავად, წარმატებით წყვეტდა საკუთარ მხატვრულ ამოცანებს. მისი გამომსახველობითი ენა, ხშირად, ევროპულ მხატვრულ მიდგომებს ეხმაურება.

ლევ ბაიახჩევი დაიბადა 1930 წლის 7 სექტემბერს, თბილისში, ინჟინერ-მშენებლის ოჯახში.

1953-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგები იყვნენ ცნობილი ხელოვანები სერგო ქობულაძე, ვასილ შუხაევი, აპოლონ ქუთათელაძე და კორნელი სანაძე.

1950-იანი წლებიდან ბაიახჩევი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში გამართულ ჯგუფურ სახელოვნებო პროექტებში და მართავდა პერსონალურ გამოფენებს, მათ შორის საქართველოს ეროვნულ გალერეასა და მხატვრის სახლში.

ბაიახჩევის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში, თელავის, სიღნაღის და ბათუმის მუზეუმებში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში: Zimmerli Art Museum-ში (აშშ).

მხატვრის ნამუშევრები ამდიდრებს კერძო კოლექციებს საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, უკრაინაში, არგენტინაში, აშშ-ში, ისრაელში, გერმანიაში, შვეიცარიაში, სომხეთსა და რუსეთში.

**ლევ ბაიახჩევი 1992 წელს თბილისში გარდაიცვალა. გამოფენა 14 დეკემბრამდე გაგრძელდება.**




# ორ მუზეუმს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და აზერბაიჯანის ეროვნული ხალიჩების მუზეუმის თანამშრომლობით, აზერბაიჯანის სახალხო არტისტისა და გრაფიკოსის, პროფესორ არიფ ჰუსეინოვის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო და ორ მუზეუმს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**



კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლნისის მუზეუმში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილია არიფ ჰუსეინოვის მიერ 2024-2025 წლებში, შერეული ტექნიკით, ტილოზე შესრულებული 12 გრაფიკული ნამუშევრის სერია და აზერბაიჯანის ეროვნული ხალიჩების მუზეუმის ტრადიციული ტექნოლოგიების განყოფილებაში შესრულებული ხალიჩა, რომელიც არიფ ჰუსეინოვის სურათის – „ორი გულის ისტორიის” მიხედვითაა შექმნილი. გამოფენა პროექტ „დროის კვანძების“ ფარგლებში, საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროების მხარდაჭერით იმართება და 5 დეკემბრამდე გაგრძელდება. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და აზერბაიჯანის ეროვნული ხალიჩების მუზეუმის დირექტორმა ამინა მელიკოვამ. მემორანდუმის მიზანია ერთობლივი გამოფენების მოწყობა და სამუზეუმო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 ნოემბერს